ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 11 დეკემბერი № 139 (11625) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — ფასი 8 კაპ.


## განმარტებისთვის

6 დეკემბრის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრის ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედ კომისიაში (თავმჯდომარე ბ-ნი ირაკლი ჩხეიძე) მიწვეულნი არიან საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა და მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელები, ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები. მათი ძირითადი ნაწილი (25 კაცი) დასაქმებულია ეკოლოგიის კომისიაში (თავმჯდომარე ბ-ნი გურამ ისაკაძე)".

ამასთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ, რომ სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისია მართლაც ისწრაფვის ნაყოფიერი თანამშრომლობისაკენ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთან თუ კომპეტენტურ პირთან, მაგრამ ჯერჯერობით არც კომისიის პიროვნული შემადგენლობა და არც წევრთა რაოდენობა განსაზღვრული და დაზუსტებული არ არის. ამდენად, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრის ამგვარი განცხადება ნაადრევია. მეტადრე უხერხულია ეკოლოგიურ კომისიაში შემავალი მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელთა რაოდენობის ზუსტი მითითება, როდესაც ამაზე არავითარი შეთანხმება არ ყოფილა.

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომისია კვლავაც რჩება ყველა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მოსურნედ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამასთანავე ყველა საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პრიორიტეტი რჩება უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის კომპეტენციაში, მისი სტატუსიდან გამომდინარე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისია.**

## ქრონიკა, ინფორმაცია

**დღეს** გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

**8 დეკემბერს** საქართველოს მწერალთა კავშირში ერთმანეთს შეხვდნენ „მრგვალ მაგიდასა" და ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. შეხვედრის აუცილებლობა განაპირობა ამ ბოლო დროს საქართველოში შექმნილმა რთულმა ვითარებამ. ეს, ძირითადად, გამოწვეულია სხვადასხვა



პოლიტიკურ ძალთა პოლიტიკური დაპირისპირებით, რომელსაც ბევრი ალარაფერი უკლია სრულ კონფრონტაციამდე, და „მხედრიონის" მიერ მოწყობილი შიმშილობის აქციით. სწორედ ამიტომ მთელი საქართველო დიდი ინტერესითა და იმედით მოელოდა ამ შეხვედრას.

შეხვედრაზე, ძირითადად, მოხერხდა შეთანხმება, რომ უზენაესი



საბჭოს, კონგრესისა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან შეიქმნას კომისია, რომელიც განიხილავს რესპუბლიკაში არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების და კონკრეტულად „მხედრიონთან" დაკავშირებულ საკითხებსაც. ამასთან, მოხდა პრინციპული შეთანხმება იმის შესახებ, რომ მომავალში ერ-



თობლივად განიხილავენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა პოლიტიკურ კონცეფციებს.

იმავე საღამოს შეწყდა ოპერის თეატრთან „მხედრიონისა" და მთავრობის სასახლესთან წმინდა ილია მართლისა და ქართველ დედათა შიმშილობის აქციები.

**პაატა პრიზმაძის ფოტოები, (სს „საქართველო").**

**7—8 დეკემბერს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპი. პირადი განცხადების საფუძველზე, ყრილობამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია 45 წლის ინჟინერ-ტექნოლოგი **ავთანდილ მარგიანი** — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

მეორე მდივნად არჩეულია **გიორგი ჩიჩელაშვილი**, ყოფილი პარტიული მუშაკი, ამჟამად საქსახაგრომრეწვის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „საქწყალექსპლუატაციის" უფროსის მოადგილე.

ყრილობამ მიიღო საქართველოს კომპარტიის წესდება, რომლის თანახმად იგი ამიერიდან არის საკუთარი პროგრამისა და წესდების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია.

**როგორც** ჩვენმა მკითხველებმა იციან, 9 დეკემბერს უნდა გამართულიყო ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ბათილად ცნო და მოუწოდა ოსეთის მოსახლეობას, ამჟამინდელ მმართველ აპარატს, ხელი აეღოთ ამ პროვოკაციულ და არაკანონიერ მოქმედებაზე, გარკვეული ძალების მიერ არჩევნები მაინც ჩატარდა. თუმცა ქართული მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მასში მონაწილეობა არ მიიღო. არჩევნებს ასევე ბოიკოტი გამოუცხადა ცხინვალის, ზნაურის და ახალგორის რაიონების ქართველმა და ნაწილობრივ არაქართველმა მოსახლეობამაც.

**10 დეკემბერს „პიკის საათში" გადაცემული ინფორმაცია**

**დამოუკიდებელი** პროფკავშირების კონფედერაციამ საქართველოს საკუთრების განუყოფელ ნაწილად, საქართველოს პროფკავშირების კუთვნილებად გამოაცხადა მის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო კუთვნილებად აღიარებული პროფკავშირული ობიექტები და დაწესებულებები. დაიწყო მათი რესტავრაცია და კეთილმოწყობა.

ჩვენს კურორტებზე ყოველწლიურად ჩამოდის ათიათასობით დამსვენებელი. ბევრი მათგანი უსაგზუროდაა. მათი მოთხოვნების



დაკმაყოფილებისათვის თბილისის არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ს/კ ინსტიტუტში შეიმუშავეს სახლ-პანსიონატების პროექტები. **სურათზე:** ასეთ სახლზე მუშაობისას — ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გივი შერიძე და ახალი პროექტების ავტორი ვიტალი კობახიძე.

**ვ. კიკვაძის ფოტო. (სს „საქართველო").**

**მოეწყო** გამაფრთხილებელი აქცია მარნეულში. მისი მონაწილეების მოთხოვნაა, გაირკვეს თუ რა მიზეზით გადაიყვანეს მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ფარნა სვანიძე სხვა სამუშაოზე. და თუ ეს აუცილებელი იყო, მაშინ მის ადგილზე კადრი ადგილობრივი კანდიდატურებიდან შეირჩეს. ადგილზე ჩასულმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯემალ გორგიაშვილმა სათანადო განმარტება მისცა აქციის მონაწილეებს და დაპირდა, რომ ყველაფერს მოახსენებს მინისტრს. აქცია შეწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რადგან ოჯახი ეროვნების დასაყრდენია"

## (ციკლიდან „ვინც ლაპარაკობს, ხომ ტყუის, ვინც დუმს, ის უფრო ტყუის")

## ღია წერილი ქართველ ქალებს

— **„შესანიშნავი ხარ დედათა შორის და სასახელებელი შენი სქესისა, ეცადე, შვილო, შენის ერთგულებით მამაკაცები გაუერთგულო სამშობლო ქვეყანას"**, — ამბობენ ამ სიტყვებით მიმართაო ერეკლე მეფემ გმირ ქართველ ქალს თინა წავკისელს ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ.

ეს სიტყვები მინდა შევახსენო დღეს ჩვენ ქართველ ქალებსაც, მრავალპარტიული არჩევნების წამყვან გმირთ, საბჭოთა სისტემის ისტორიაში უჩვეულო, განუმეორებელი მოვლენის, დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთ უპირველეს მონაწილეთ და მხარდამჭერთ. ყველა ქალი, ვინც კი 28 ოქტომბერს, მღელვარე და დაძაბულ საზეიმო დღეს ხმას აძლევდა საქართველოს თავისუფლებას, გამგრძელებელია იმ უკვდავი ტრადიციებისა, რომელიც ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა გააფორიზმა ქართველი ერის ზნეობაში: — **„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო"**... გილოცავთ ამ პირველ გამარჯვებას!

ქართველი ქალის სახელი, სათნოება, სიკეთე, სიმამაცე, ოდითგან განითქმებოდა არა მარტო საკუთარ სამშობლოში, მის გარეთაც. ქართველი ქალის ღირსება და სამართლიანობა კულტად იყო მიჩნეული. მისი დარბაისლობა, სიქველე, მიმტევებლობა მაგალითად ედგათ თვალწინ სხვათა დედათ და ცდილობდნენ მათი მიბაძვით აღეზარდათ თავიანთი შთამომავალნი. ქართველი ქალის კულტად აღიარებას, გათაყვანებას და გაღმერთებას, მისი ეროვნულობაც უწყობდა ხელს, ქართველმა ერმა თავის საიდუმლო ბეჭდით ზიარებულ და „დაფლულ" ენას, მშობლის უწმინდესი სახელი დედა ენა უწოდა, დედა ენა გამოაცხადა ოჯახის ზნეობის, სარწმუნოების, ტრადიციების ერთგულების ბურჯად, ქართველი ქალის კულტი მსოფლიო დედის, ღვთისმშობლის სახეში განსახიერდა. გამთლიანდა და ესეც კიდევ ერთ მაგალითს იძლეოდა იმისას, რომ მამულისთვის გადაეფარებინა თავისი ზნეკეთილი ფრთები, შვილები აღეზარდა სამშობლოსადმი მოწიწების, პატივისცემის, ერთგულების გრძნობით, ცხრა ძედ დაფერფლილიყო საქართველოს საკურთხეველზე, შთამომავლობისთვის შემოენახა მგზნებარე ქართველური გული, სასულიერო ჰანგებად დაღვრილიყო, ზეცად ამაღლებულიყო, სულთათანად გადმოფრქვეულიყო უკვდავ სტრიქონებში: — **„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული"**... ბრძოლის ველზე თუ მშვიდობიანობის დროს, ქართველი ქალი ერთგულებასთან ერთად მიმტევებლობას და მოძმისადმი შემწყნარებლობას ასწავლიდა შვილებს, ასაზრდოებდა სიკეთითა და სიყვარულით, სათნოების ნერგს ზრდიდა ოჯახში, თავსაფარს იხდიდა, თავისი პატიოსნებისა და სინდისნამუსის სიმბოლოს, ქართულ მანდილს, მშვიდობიანობისა და შერიგების ნიშნად აფრიალებდა მეტოქეთა შორის. ქართველი ქალის ნაზი, სათუთი, მგრძნობიარე, მაგრამ ამავე დროს მეამბოხე და მამაცური ბუნება ვერასოდეს ეგუებოდა უსამართლობას, უკანონობას, ვერასოდეს ეგუებოდა სამშობლოს დამონებასა და დაჩაგრულობას. — **„უცხოობაში რაა სიამეო?!** — ამას ქართველი ქალი კითხულობდა გაოცებით, მწუხარებით და ნაღვლიანად დასძენდა, — **სადაცა ვერ ვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებულიო!"**...

სამწუხაროდ, მაინც იმარჯვა მტერმა, მაინც იმარჯვა დამპყრობელმა და სწორედ „უცხოობის სიამენის" მოხიბვლით შეეცადა ქართველი ქალის გულის მოგებას. ყველას ვერა, მაგრამ ზოგიერთს მაინც გადაუგვარა სული, გონება, აზიარა უცხო ქვეყნის მაცდუნებელ პატივსა და ფუფუნებას, მატერიალური კეთილდღეობის მოპოვება დაუსახა უპირველეს სიკეთედ, მისი პატიოსანი, მამულიშვილური გული, მეშჩანურ ყოფასა და გაფეტიშებულ ნივთებზე გადააცვლევინა. დაავიწყა ღირსება, დედური თავმოყვარეობა და მოკრძალება. საბჭოთა ბიუროკრატიულ აპარატში მოქცეული ჩვენი ჩინიანი დედები მამაკაც „ძლავრთა" მსგავსად, კორუფციისა და საქმოსანთა წრედში ჩაერთვნენ, ოჯახს უპირველესი მარჩენალის როლში მოევლინენ. ერის დედა, ერის ქომაგი, ერის ბურჯი, წვრილმან ჩარჩ-ვაჭრად, სპეკულანტად, მოხელედ, ჩინოვნიკად გადაიქცა. ქართულ ოჯახს გამოეცალა ზნეობის საყრდენი, რელიგიური საფუძველი. თამარ მეფის, ქეთევან წამებულის, მაია წყნეთელის, თინა წავკისელის, „თავსაფრიანი დედაკაცის", ბაგრატოვანთა უბრწყინვალეს ქალთა ნაშიერნი უწინ თავგამოდებით, საკუთარი სიცოცხლის ფასად, სათნოებით, და ამავე დროს მახვილით რომ ებრძოდნენ დამპყრობელს, უცხო ძალთა გავლენით, საკუთარი სულისა და გონების ვაჭრობით, ერთგულად შეეწყნენ კომუნისტურ წყობილებას და ახალი საბჭოთა ქალის ინსტიტუტს ჩაუყარეს საფუძველი. ამ „ინსტიტუტში" როგორც ჩვენი დიდი მგოსანი იტყოდა, „სხვა ხალხი და სხვა ქალები" ბატონობდნენ. აქ ჩამოყალიბდა სახე ყოჩალი, მამაკაცური, ძალაუფლების მოყვარე, ფართიფურთა ქალბატონებისა. გიორგევნები, დავიდოვნები, მიხაილოვნები, ვიქტორევნები წარმართავდნენ ამ „ინსტიტუტს", ხოლო მათ მონურად, მოკრძალებით, მოწიწებით ეხელქვეითებოდნენ პატარ-პატარა სეფექალები და პირისფარეშები, ეს მხევლები საბჭოთა ჩინოსან მანდილოსანთა გემოვნებისა და სტომაქის დასაკმაყოფილებლად უსირცხვილოდ იღებდნენ ქრთამებს, იხვეჭდნენ ფულებს, მიმართავდნენ ყოვლად უზნეო და უღირს ხერხებს. მრავლდებოდნენ დედა-ძლავრები, დედა-ჩინოვნიკები, დედა-ბიუროკრატები, დედა-მოხელეები, დედა-მოახლეები, დედა-მონები, დედა-ხელქვეითები და დედა-პირისფარეშები. ჩარჩ-ვაჭრულმა სულმა დააკნინა ქართული ოჯახის ქრისტიანული ზნეობა, დაანგრია ტრადიციული ქართველური კეთილშობილება, მოსრა და დააქცია უფროს-უმცროსობაზე დამყარებული ქართველური მტკიცე შენობა, თამარისდროინდელი საქართველოდან შემორჩენილი დახვეწილი, რაინდული დამოკიდებულება მამაკაცსა და დედაკაცს შორის გაუფასურდა და გაქრა. ვითომ საბჭოთა თანასწორობამ და საბჭოთა თანაბარუფლებიანობამ, თანამდებობის ადგილებზე მანდილოსნების დაწინაურებამ, კორუფციისა და ბიუროკრატიულ სისტემაში სუსტი სქესის ჩართვამ, დამპყრობლის შორს გამიზნულ გეგმებს შეუწყო ხელი, კომუნისტური მორალის მატარებელი ქართველ ქალთა პლეადა დამპყრობელი ქვეყნის მძლავრი დასაყრდენი გახდა. შეუგნებლად თუ შეგნებულად ქართველი ქალი საკუთარი ნებით არღვევდა ოჯახის სიმტკიცესა და ზნეობას. ქართველი დედა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გამამრავლებელი, ამაღორძინებელი და ნაყოფნაკურთხი, ქურდობისათვის, სპეკულაციისთვის, ქრთამის აღებისთვის, მკვლელობისთვის, სხვადასხვა დანაშაულში ხელშეწყობისთვის, მამულისადმი ღალატისა და ორგულობისთვის ციხეში აღმოჩნდა, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, ბრალეული, ცოდვაში გარეული და ყალბისმქნელი. აკი ამიტომაც მოევლინა შემდეგ ქვეყანას ამდენი კაენი, იუდა, თაღლითი, ფარისეველი, სულით ავადმყოფი, ნერვებდაძაბუნებული, გამოფიტული, „ჭკუა გონების საბუდრის" სიცარიელით მომეტებული თაობა. თაობა, რომელშიც სჭარბობდა ცინიზმი, ნიჰილიზმი, სკეპტიზმი, რომელშიც დაკარგული იყო ნიჭი გამრავლებისა, მამულის სიყვარულისა, პატივისცემა და მოკრძალებულობა „მსოფლიო დედის", საქართველოს უზენაესი მფარველის და მოწყალის ღვთისმშობლისადმი, „დიაˮ სახლისა, დედა სიკეთისა და სიყვარულისა, უზნეობის ჭაობში ჩაეფლო, დაავიწყდა აღსრულება საღვთო ნებისა სამშობლოსა და ერის წინაშე, ამიტომაც იტანჯა დღემდე, ამიტომაც იმონა, იწვალა საქართველოს დაუღლელმა სულმა.

ჟამთაღმწერლის მოვალეობაა ისტორიის აღწერა, დაწვრილებითი შესწავლა ფაქტებისა და თარიღებისა, დროებას კი სულ სხვა მისია აკისრია, მან ხალხის წინაშე უნდა გამოიყვანოს გმირი, რომელიც გამოაფხიზლებს მონობის ბორკილებში გათანგულ ეროვნულ სულს, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს მხსნელად მოევლინება, იმედითა და რწმენით აღავსებს დატანჯული ხალხის გულს. საქართველოს ისტორიას არ დაჰკლებია ისეთი ეროვნული გმირები, „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნოო", აღტაცებით რომ შეჰფოფინებდნენ ქართველ დედათა სანაქებო წარსულ საქმეთ. „ენა, მამული, სარწმუნოებაო", სიხარულით რომ აწერდნენ დროშას სისხლის ასოებით... ასე გადიოდა დროება დიდი დარდით, თმენით, სასოებით, ბოლოს, კი, საყვარელმა ძემ, ქრისტესმიერი ძმის თანამებრძოლმა და თანაზიარმა, ჩვენმა ეროვნულმა გმირმა მერაბ კოსტავამ, სამყაროს იდუმალებასა და უსაზღვროებას წმინდანივით რომ ჰვრეტდა და კაცობრიობის განვითარების მიმოხილვით აფასებდა პატარა საქართველოს ღვაწლს მსოფლიო ქრისტიანულ ისტორიაში, ლექსის სტრიქონებში შემოგვინახა არსი და სამუდამო დანიშნულება ქართული ოჯახისა — **„აწ მოიხილავ განდიდებას შენი გენისას, აღორძინებას, აღზევებას კურთხეულ ჯიშის, რადგან ძლიერი ხასიათი, სახე ერისა, სულის წრთობაში, ქმედებაში, ბრძოლაში იშვის. რადგან ოჯახი ეროვნების დასაყრდენია, კაცთა სიწმინდეს და ზნეობას რაიც ჰგულისხმობს, შენი შვილი და შვილიშვილი აქ მოსძებნიან"**... — ეს სტრიქონები სიმბოლური მნიშვნელობით ამოიხსნება. განტევებული თაობის შვილებს და შვილიშვილებს ჭეშმარიტების ძებნის დრო დაუდგათ. დადგა „ბრძოლაში შობილი" ზნეობის და სიწმინდის დრო. **„ეროვნების დასაყრდენი" ქართული ოჯახი მომავალი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საწინდრად უნდა იქცეს.** არავის შეუძლია ამ საწინდრის შენარჩუნება იმგვარი სისათუთით, იმგვარი სიყვარულით, იმგვარი სიფაქიზით, როგორც ქართველ ქალს. თანამედროვე ქართველმა დედამ დაამტკიცა, რომ იგი კვლავ ქართული ოჯახის აღორძინებას და სიმტკიცეს ემსახურება. ქართველი ქალი დღეს ისევ აღავლენს მამულის ერთგულებისთვის საფიცარ ჰანგებს, ისევ თავისუფლებისთვის ზრდის თავის ცხრა ძეს, ცხრა ვაჟკაცს, ხმლით და მუზარადით ჰკაზმავს ისევ, თეთრ ტაიჭზე ამხედრებულ მებრძოლს, გზას ულოცავს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ქართველი ქალის გამჭრიახობა, საკუთარ ძეთა მამულიშვილური გრძნობით ანთება წარმოჩნდა ახლაც, მრავალპარტიული არჩევნების დღეებში. დღევანდელი გამარჯვება და დიდგორის ომის მსგავსი პირველი შეტაკების მოგება, არც თუ ისე იოლი გამოდგა, ყველამ კარგად ვიცით, როგორი რთული პერიოდი გამოვიარეთ 28 ოქტომბრამდე. გამოვიარეთ შხამით, ეჭვით, გესლით, ნაღველით, ჭმუნვით, ყოყმანით, მზაკვრობითა და ღალატით ნაღესი გულები. ბევრი ლანძღვა და გინება აიტანეს ჩვენმა დედებმა ცრურაინდთა ბაგეთაგან. ცხრა აპრილის ღამეს სიკვდილთან პირისპირ მდგარი ქალების ხელყოფით და სიტყვაბილწობით მოიპოვა ზოგიერთმა „ქაი ყმის" სახელი. კერპთაყვანისმცემლის სახელით მონათლულ ქართველ დედათა უმრავლესობას თითო წინწკალი ტალახისა ჯილდოდ ერგო ამ მძიმე დღეებში.

ქართველი ქალი გონიერი და შორსმჭვრეტელია, მისი უმთავრესი თვისება მიტევებაა, შეწყალება, განკითხვა ცოდვა-მადლისა, მისი ოთარაანთ ქვრივისეული გული და გონება მხოლოდ კაცთმოყვარეობისა და შეფიცულ ძმათა სამწყალობელად არის განკუთვნილი. ამაში გამოიხატება მისი დედური გულის დამსახურებაც, სწორედაც დედური, რადგან იგი უფრო ამაყია, უფრო ფაქიზი და მშფოთვარე, მუდამ შვილის გარშემო ტრიალებს, გუმანით გრძნობს საფრთხეს, ხიფათს, მუდამ სამართლიანობისთვის, პატიოსნებისთვის იბრძვის და ამკვიდრებს კიდეც მას თავის მემკვიდრეთა გენებში.

— „სული მომმადლე თმენითა, გამოუთქმელი ენითა, ხრწნილებათაგან დამიხსენ უხრწნელებითა შენითაო", — ასე მიმართავდა ჩვენი ეროვნული გმირი ღვთისმშობელს. თმენა გვასწავლე, ხრწნილებათაგან გვიხსენი, ცოდვა მოგვიტევე და შეგვიწყალე შენი უცოდველობითაო, ჩვენს მაგივრადაც შესთხოვდა ღვთისმშობელს... ცოდვა მძიმე სიტყვაა, დატვირთული, მრავლისმომცველი, ყოველ ქრისტიანს უნდა ეშინოდეს მისი, ახლა საქართველოში ხშირად ჩივიან მიტევების უნარი დაგვეკარგაო, მაგრამ უფრო დიდმა ჭირმა იჩინა თავი, თვით ცოდვის ჩამდენთ დაეკარგათ საკუთარი ცოდვის ტვირთვის, განწმენდის, მონანიების, ერის წინაშე აღიარების, გამოსყიდვის უნარი. იყო დრო მონაზვნად, ან ბერად დაეყუდებოდა ხოლმე ცოდვის მტვირთველი: ცოდვიანი განკერძოვდებოდა, მიეცემოდა სინანულისა და ტანჯვის გრძნობას. ახლა კი ასე ხდება, გამოდიან სატუსაღოდან და ახალ გალაღებულ ცხოვრებას ეძლევიან, ახალ დანაშაულს და ბოროტმოქმედებას სჩადიან. ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, არ გვაქვს სხვისი ცოდვის განსჯის ნება, მაგრამ არც ღმერთი შეიწყალებს ერს, რომელშიც ცოდვის შვილთა სახელები უფრო სჭარბობს, ვიდრე მომნანიებლებისა — **„შენგან დამესახოს მაღალი მიზანი, შენით დავუტევო გზანი ცოდვისანი, შენ, თვალო სულიწმინდისა, ადამის მოდგმის გაისო, ცისკენ გამდებო ხიდისა, ხერაბინთ უზესთაესო, წინაშე ძისა შენისა, მას დღესა განკითხვისასა, ნუგეშად გამოგვიჩნდი, რომელი, გვექმენი შუამდგომელი"**, — ესეც მერაბ კოსტავას ღაღადისია.

„შუამდგომელს" უნდა ვევედროთ ჩვენც, „ცისკენ ხიდის გამდებს" უნდა ვევედროთ საქართველოს გადარჩენისთვის, ჩვენი შვილების შეწყალებისთვის, ჩვენი ეროვნულის სულის ხსნისათვის. ნუ შეგვაშინებს ერთმანეთის ხასიათი; ზოგი მორჩილი, ზოგი კაპასი, ზოგი სიტყვაძუნწი, ზოგი შმაგი, ზოგი მამაცი, ზოგიც მშიშარა და მხდალი. ყველაზე გასაფრთხილებელი ის არის, რომ თითოეულში ქართველური გული ძგერს, ყველა ერთმანეთს ავსებს. რასაც ერთი ვერ გააკეთებს, მეორე შესძლებს, და პირიქით. მთავარია, შევინარჩუნოთ სიყვარული მოყვასისადმი, ავაღორძინოთ ქართული გენი, ქართული სისხლი... ჩვენი ეროვნული შეგნება უკვე გამოვლინდა ახალი პარლამენტის შექმნით. ქართველი ხალხი ბრძენია. მან უკეთ იცის საკუთარი შვილების ფასი. — **„მზე გადაიხარა... მოშუღლართა იქნება შერიგება, შურისძიების არც ერთი მისხალი, სისხლის არიდება! ჩადგება ქარიშხალი, დარჩება... მხოლოდ სიყვარული".** — ბრძენკაცივით ამბობდა თითქოს დღევანდელი ვითარების დასტურად ჩვენი ეროვნული გმირი ლექსში „ყველგან, ან არსად". ჩვენ უნდა აღვასრულოთ მერაბ კოსტავას ეს ანდერძიც, სიყვარული უნდა დარჩეს მარად და მარად! ნუ მოვკლავთ იმ გრძნობას, იმედი, რწმენა, სიკეთე რომ ჰქვია, რომელიც ჩვენ, თითოეულ ამომრჩეველს 28 ოქტომბერს, მფარველად მიგვაქონდა საარჩევნო ყუთთან, რომელსაც პირჯვარს ვსახავდით და ლოცვად ვატანდით ნუგეშის სიტყვას: — თავისუფლება! საქართველოს ხსნა და დამოუკიდებლობა! — თითოეული წრედი, რომლითაც საკრალურად მიჩნეულ თორმეტ რიცხვს ვხაზავდით, ალბათ, სამუდამოდ დარჩება ქართველი ერის ისტორიაში, დარჩება როგორც სიმბოლო თანასწორუფლებიანობისა, თავისუფლებისა, რწმენისა, იმედისა, დარჩება საქართველოს ბედისმწერლად, მემატიანე მას მოიხსენიებს მაგიურ ციფრად და შთამომავლობას შეუნახავს სახსოვრად.

პირველი ეროვნული პარლამენტის არჩევით ჯერ მხოლოდ ერთი ნაბიჯით მოგვიახლოვდა თავისუფლება, ჯერ სრულად არ შესწევს ძალა ფეხზე დგომისა, ჯერ კიდევ წინ არის ბრძოლა შენებისა და ნგრევისა ერთდროულად. ქართველი კაცი არ უნდა მოტყუვდეს გამარჯვების სიხარულით, ახლა მართებს სრული სიფხიზლე, შემართება, ნებისყოფა, ვინ იცის, იმპერიული ძალები საიდან მოგვევლიან. როგორი იარაღით დაგვიპირისპირდებიან. აგერ ახლა, ვინ მოიფიქრებდა, რომ ზოგიერთ რაიონში ქართველი კაცი თავისუფალ საქართველოზე უარს იტყოდა და კომუნისტურ პარტიას მისცემდა ხმას. ვინ მოიფიქრებდა, რომ წიგნიერ, სულიერად ამაღლებულ, მოწამებრივ და წმინდა ადამიანების გვერდით დგომას სატანის მოციქულის გვერდით ყოფნას არჩევდა... რაც უნდა იყოს, ახლა უკვე ბრძოლის შუაგულში ვიმყოფებით და უკანდახევა დამარცხებას ნიშნავს. ქართველ ხალხს, ქართველ დედებს, ახლა მართებთ მანდილოსნური სიბრძნის გამოჩენა, თავდაჭერა, დაირბაისლობა, ემოციების დაოკება. ქართველი ქალი ახალ საქართველოს ქართული ოჯახის აღორძინებლად და სიკეთის მარცვლის გამღვივებლად უნდა მოევლინოს, ერთგულ ქომაგად უნდა დაუდგეს ახალ პარლამენტს, შეისმინოს მისი უზენაესი სიტყვა, მემკვიდრეებს სწორად გააგებინოს. დღევანდელ ქართველ ქალში ერთადაა თავმოყრილი სინაზე, შემართება, ინტელექტუალობა, სივაჟკაცე და გონიერება თამარ მეფისა, სიწმინდე და მოწამებრივი თავდადება ქეთევან წამებულისა, გამჭრიახობა, ჭკუა და მოხერხება მაია წყნეთელისა, შემოქმედის ლირიულობა და ხელოვანის სინატიფე მუზების მფარველი კეთილშობილი ასულებისა. — **„წმინდანო მამანო, თქვენ ყველაზე მეტად მოვალენი ხართ ღირსეულად, კეთილად და სამართლიანად იღვწოდეთ. ღვთის განჩინებით თქვენ ხართ ჩვენთვის მოძღვრად მოვლენილნი. თქვენ უნდა პასუხი გასცეთ გამჩენს, თუ რომელიმე ჩვენგანი თქვენის დაუდევრობით სულს წაიწყმედს.** — ასე მიმართავდა სამეფო ტახტზე ახლად აბრძანებული მეფე საქართველოსი, თამარ დედოფალი, უწმინდესსა და უნეტარეს სამღვდელოებას, — **„თვალყური ადევნეთ კეთილ საქმეს, გამოიძიეთ, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი სამწყსოს ყოველი ნაბიჯი. სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა განდევნეთ, ბოროტმოქმედნი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ. იწყეთ მართლმსაჯულება პირველად თუნდაც ჩემზედ, თუ კი ვარ დამნაშავე, თუ რაიმეში მედება ბრალი".** — გვირგვინოსანი მეფის ეს მშვენიერი სიტყვები, ალბათ, ჩვენს ახლად არჩეულ პარლამენტსაც შეახსენებს თავის უზენაეს დანიშნულებას: თვალყური ადევნოს სამართლის აღსრულებას, ქართველი ერი მშვიდობიანად წაიყვანოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე. მაშინ მერაბ კოსტავას წმინდა ანდერძი მართლაც საბოლოოდ აღსრულებულად ჩაითვლება, — **„და დარჩება მხოლოდ სიყვარული, განმართლდება ძველი იგავი, ნურსად იქნები, ან ყველგან იყავიო"**, — რომ გვიქადაგებდა.

ირინე ბალიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალურ თემაზე —

# საქართველო და თურქეთი

**მსოფლიო** პოლიტიკურ არენაზე საოცარი სისწრაფით იცვლება სიტუაციები: ემხობა ერთი დიქტატურა, ჩნდება მეორე, ერთ სახელმწიფოში მიმდინარეობს დეკოლონიზაციის პროცესი, მეორე სახელმწიფო მსოფლიოს თვალწინ უტიფრად ირჩევს კოლონიალიზმის პოლიტიკას. ასეთი ქაოსური სიტუაციის დროს აუცილებელია სწორად განისაზღვროს და გარკვეული ორიენტაცია გაკეთდეს საგარეო პოლიტიკის დარგში. სწორი ორიენტაცია განსაკუთრებით საჭიროა იმ ერებისათვის, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

საერთო პოლიტიკურ ფონზე თვალშისაცემია დემოკრატიის, როგორც საზოგადოების წარმმართველი მექანიზმის ასვლა ახალ სიმაღლეზე (თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშიც კი დაიწყო დემოკრატიული ცვლილებები). საერთაშორისო სამართლის მზარდი გავლენა ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების ავტორიტეტის განუხრელი ზრდა იმის მანიშნებელია, რომ მსოფლიო თანაარსებობაში კოლონიალიზმი, ავტორიტარიზმი და უნიტარიზმი მეთოდურად იცვლება ჰუმანური და დემოკრატიული ურთიერთობებით.

ბევრს მიაჩნია, რომ მიმდინარე მოვლენები მხოლოდ ფარსია და მსოფლიო პოლიტიკას ისევ განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. „სარგებლიანობის პრინციპი“ (მაგ. ასეთები თვლიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იმიტომ ილაშქრებს კუვეიტის აგრესიის წინააღმდეგ, რომ კუვეიტი მისთვის ნავთობის ძირითადი მიმწოდებელია). დემოკრატიულ აზროვნებას მიუჩვეველ შემეცნებაში ასეთი შეხედულება იოლად იკიდებს ფეხს, რადგან მასში ნაკლებად არის გათვითცნობიერებული „დემოკრატიის“. როგორც ურთიერთობისა და პოლიტიკური სპექტრის, განმსაზღვრელი არსი: დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლება, რომლის სათავეში დგას ესა თუ ის პარტია, არა მარტო შინაგანი დემოკრატიულობის, არამედ ავტორიტეტის დაკარგვის შიშით (რაც გამოიწვევს არჩევნებში სხვა პარტიის გამარჯვებას და შესაბამისად ხელისუფლების დაკარგვას) ყოველთვის წინ აღუდგება კოლონიალიზმისა და დიქტატურის გამოვლენას.

საქართველოში, სადაც პოლიტიკური ცნობიერება საშუალოზე დაბლა დგას, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეიძლება სწორად ვერ შეაფასოს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ნაბიჯი, რომელიც თავისი არსით დიქტატორულია, ხოლო დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში არავინ აპატიებს კონსერვატორებს, თუ ისინი მტკიცედ არ გაილაშქრებენ კუვეიტის აგრესიის წინააღმდეგ.

ბუნებრივია შეკითხვა: ხომ არ აქვს — ასეთი ფართო მასშტაბის ცვლილებებს დროებითი ხასიათი?

ბუნებრივია პასუხიც: არა!

მტკიცედ დამკვიდრდა ევროპული თანაარსებობა, რომელიც თავისი მოქნილი მექანიზმებით, ეკონომიკური კრიზისის შიშით, ყველა სახელმწიფოს იძულებულს ხდის მტკიცედ ჩაერთოს თანამეგობრობის სტრუქტურებში, ხოლო მომავლისათვის იზრუნოს საერთო ევროპულ სახლში ადგილის დამკვიდრებისათვის.

უკვე ფაქტია თვით აშშ-ს ჩართვისა საერთო ევროპულ სახლში. ანალოგიური ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. დაინგრა ბერლინის კედელი და იმედია, მალე დაეცემა კორეის გამყოფი მავთულხლართები. დასკვნა ნათელია: პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კანონებმა შექმნეს სიტუაცია, როდესაც იზოლაცია, რაც აუცილებლად მოჰყვება დემოკრატიული პოზიციებიდან გადახრას, დამღუპველი იქნება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რაგინდ ძლიერი არ უნდა იყოს იგი.

მსოფლიოს, შეიძლება ითქვას, „გაჰუმანურების“ პროცესი დაიწყო და ბუნებრივია იგი კიდევ უფრო განვითარდება. ამის უარყოფა მხოლოდ შეგნებულ ან შეუგნებელ მტერს შეუძლია, რომელიც უფრთხის საქართველოს ჩართვას მსოფლიო თანაარსებობის დემოკრატიულ სტრუქტურებში.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ზემოაღნიშნული მსჯელობიდან:

1. ვინაიდან სახელმწიფოებრიობა საქართველოს ჯერჯერობით არ გააჩნია (ის არ არის ცნობილი სამართალსუბიექტად), ამიტომ სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე ქართველმა ერმა მტკიცედ უნდა დაამკვიდროს ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობა.

2. ორიენტაცია უნდა იქნეს აღებული განვითარებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირზე.

პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული „დემოკრატიული მოძრაობის“ აუცილებლობა ნათელია და მის დაკონკრეტებას არ შევუდგები (აუცილებლობის დამამტკიცებელი საბუთები წინამდებარე მსჯელობაშიც მრავლადაა).

რაც შეეხება მეორე ნაწილს, კერძოდ საქართველოს საგარეო პოლიტიკას, რამდენიმე მომენტს მინდა შევეხო:

ბოლო პერიოდში პრესაში გახშირდა სტატიები, სადაც თურქეთს მოიხსენიებენ „ხახადაღებულ“, „დადარაჯებულ“, „იმპერიალისტურ“, „კბილებგალესილ“ სახელმწიფოდ და გვიმტკიცებენ, რომ თურქეთი თითქოს მოუთმენლად ელოდება საქართველოს განთავისუფლებას, რათა მოახდინოს მისი ანექსია. ანალოგიური მსჯელობა არა მარტო პოლიტიკურ მარაზმს წარმოადგენს, არამედ მას შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს საქართველოს მომავალს, კერძოდ:

ა) ქართველი ხალხის ცნობიერებაში დაამკვიდროს თურქეთის საფრთხე, რაც გამოიწვევს თურქეთის შიშით რუსეთისადმი ორიენტაციას და შესაბამისად საოკუპაციო ჯარებისადმი ჩამოყალიბდება არა მხოლოდ შეგუებლობა, არამედ მისი წარმოსახვა თურქეთის აგრესიისაგან დამცველ ძალად.

ბ) რთულ გეოპოლიტიკურ გარემოცვაში უძლიერეს მეზობელთან წინასწარ ვადგებით ცივი ომის პოლიტიკას, რასაც შეიძლება სამომავლოდ სერიოზული კონფლიქტი მოჰყვეს. თურქეთი არ არის დემოკრატიული სახელმწიფო, ის ილტვის დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ადგილის დამკვიდრებისათვის და ბუნებრივია ჩვენი პოლიტიკაც ამ ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული.

გ) სერიოზულად შეიძლება გავართულოთ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისედაც გაუკუღმართებული (ბუნებრივია, ეროვნული) ბედი.

დ) ჩამოვაყალიბოთ უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც თურქეთის მოკავშირეებს წარმოადგენენ.

1801 წლისა და 1921 წლის მაგალითებმა და საერთოდ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ მისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებიდან დღემდე უნდა დაგვარწმუნოს მის, როგორც მოკავშირის არასაიმედოობაში. დღეს შექმნილია ფეთქებადი სიტუაცია, რომელმაც შეიძლება კვანძების უეცარი გახსნა გამოიწვიოს (აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების მსგავსად). ამიტომ სსრ კავშირთან ნებისმიერი ხელშეკრულება სამხედრო-საგარეო პოლიტიკის დარგში მოკავშირეობის შესახებ იქნება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის მუდმივი ან დროებითი ნებაყოფლობითი დაკაბალება!

ე. წ. სსრ კავშირში „შემავალ“ სხვა რესპუბლიკებთან ჩვენი ურთიერთობა უნდა იყოს კეთილმეზობლური, რადგან ისინი, მაგალითისათვის აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა — მფარველებად ვერ გამოგვადგებიან.

პროფესორ მაგალი თოდუას სტატიაში „დამოუკიდებელი საქართველო და მისი ძველი მეზობლები“ გატარებული აზრი — უკრაინასთან მოკავშირეობა თურქეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლად —მიუღებელია, რადგან ჯერ ერთი, რომ თურქეთის წინასწარ მტრად წარმოსახვა საზიანოა, და თუ მაინც წარმოვსახავთ, მაშინ „მტრის“ „მტრის“ ძებნის პოლიტიკას ისევ „მტრის“ „მეგობრის“ მეგობრობა უნდა ვამჯობინოთ (რაც შეეხება კვიპროსის საკითხს, ის იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ჯერ კიდევ საგარეო პოლიტიკას ძირითადად ძალისმიერი დიქტატი განაპირობებდა). თურქეთი არის ყველაზე უფრო სრულყოფილი და დემოკრატიული სტრუქტურის, „ნატოს“ ბლოკის წევრ-ქვეყანა, ამიტომ ქართველი ერი უნდა დაადგეს სულხან-საბასეულ გზას — გზას ევროპულს. ევროპის ძირითადი წამყვანი სახელმწიფოები კი ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში არიან გაერთიანებული, ამიტომ ჩვენი ორიენტაციაც ამ ბლოკისაკენ უნდა იყოს მიმართული.

სკეპტიკოსთა აზრით ამ ბლოკს დიდი ხნის არსებობა არ ეწერა, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ნატოს ბლოკი დაიშლებოდა ვარშავის ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ.

ნატოს ბლოკი, ბუნებრივია თავის გარკვეულ მისიას ამოწურავს ბოლშევიკური საფრთხის გაქრობის შემდეგ. მაგრამ ის დარჩება, როგორც კოლონიალიზმისა და დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია. ბოლშევიკური დიქტატურის გარდა არსებობს არანაკლები — თეოკრატიული დიქტატურები (ირანში, ერაყში) და ბუნებრივია, რომ ნატო გააქტიურებს თეოკრატიული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს კი გამოიწვევს თურქეთის კიდევ უფრო მკვეთრ გადახრას თეოკრატიიდან დემოკრატიისაკენ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ სამხედრო-საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ დაუკავშირა საფუძველშივე ნატოს ბლოკს (გადააქცია იგი სედპ-ს პროგრამულ დებულებად) და იგი არ შემცდარა. ქართველი ერი მისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთანავე მტკიცედ უნდა დაადგეს საერთო ევროპული სახლისა და ნატოს წევრობის პერსპექტიულ გზას! ეს იქნება ყველაზე სწორი არჩევანი საგარეო პოლიტიკის დარგში. რაც შეეხება საკითხს, მოისურვებს თუ არა თვით ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაცია ჩვენს წევრობას, ეს იქნება ჩვენს დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აშენების უნარსა და საგარეო პოლიტიკაზე დამოკიდებული.

არის კიდევ ერთი საკითხი: თურქეთს არ აწყობს საერთო საზღვრის არსებობა მსოფლიოში ყველაზე არასაიმედო სახელმწიფოსთან —სსრკ-თან, მისი უზარმაზარი სამხედრო ხარჯების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ ასეთი მეზობლის არსებობაა. თურქეთისათვის გარკვეულწილად ხელსაყრელია თუ გაჩნდება ე. წ. ბუფერული სახელმწიფო, რომელიც იქნება თურქეთთან ახლო ურთიერთობაში. სწორედ ასეთ სახელმწიფოდ უნდა იქცეს საქართველო.

სტატიაში გაკვრით შევეხე თურქეთში მცხოვრები ქართველების მდგომარეობას. მე მეტ-ნაკლებად ვიცნობ მათი ცხოვრების პირობებს (მყავს იქ ნათესავები), ვიცნობ იქ არსებულ საზოგადოებებს და ყოველივე ამის ფონზე შემიძლია ერთი განცხადების გაკეთება: ქართველთა მიმართ დამოკიდებულება გაუმჯობესებულია. ოზალის (რომლის არჩევაშიც საკმაო წვლილი შეიტანა ქართველმა მოსახლეობამ) პოლიტიკა რის გარკვეულ დათმობებზე წასვლა გაჩნდა იმედი ქართული სკოლის, ლიტერატურის, ქართული საინფორმაციო საშუალებების დაარსებისა. შეიძლება ეს ცოტაა, მაგრამ ამასაც კი შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ქართული ცნობიერების აღორძინებაზე. ჩვენს უპასუხისმგებლო არასწორ პოლიტიკას შეიძლება ამ საკითხის გაუარესებაც მოჰყვეს.

აუცილებელია, აგრეთვე ითქვას, რომ ვერავითარი გათურქების პოლიტიკა ისე ვერ ჩაკლავს იქ მცხოვრებ ქართველთა ეროვნულ სიამაყეს, როგორც ჩვენი „ვაპრუკანა“ ქართველები.

ასე რომ, დღევანდელ დღეს რაც ხდება, ჩვენს თავს დავაბრალოთ, სამომავლოდ კი — ? ეს ალბათ ძალზე რთული საკითხია დაკონკრეტებისათვის. შევეცდები მოკლედ გამოვხატო:

საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული ნებისმიერი გეოპოლიტიკური საკითხი უნდა გადაიჭრას საერთაშორისო სამართლის ჩარევითა და მისი მეთვალყურეობის ქვეშ. სხვაგვარად ტაოს პრობლემის მოგვარებაზე ლაპარაკი დაუშვებელია.

ხოლო იმისათვის, რომ საერთაშორისო დონეზე ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს, ჩვენ უნდა მოვახერხოთ:

1. ვიქცეთ საიმედო, ხელსაყრელ მოკავშირეებად დემოკრატიული სამყაროსათვის.

2. თვით ჩვენი შინაგანი სტრუქტურები უნდა გავხადოთ მაქსიმალურად დემოკრატიული.

3. (სტატუს-ქვოს) არსებული მდგომარეობის ცვლილება საქართველოს სასარგებლოდ არ უნდა იქცეს გლობალურ პრობლემად. ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს საერთო ევროპული დესტაბილიზაცია.

4. უნდა ვილაშქროთ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის.

ასეთი სიტუაციის შექმნა სწორი პოლიტიკური ლავირებისა და ორიენტაციის შემთხვევაში არ არის უტოპია.

და ბოლოს, ყველა იმ ადამიანს, ვინც მოიწადინებს თურქეთთან ურთიერთობის შესახებ გამოთქვას მოსაზრება, ვთხოვ, ფრთხილად იყოს, დაუფიქრებელი სიტყვა ძალიან ავნებს საქართველოს. არ უნდა დაგვავიწყდეს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...“

**კობა ხაბაზი,**

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრი.**

გთავაზობთ განსჯისათვის —

# შევქმნათ წიგნი „საქართველოს შვიდი საკვირველება“

ჩვენში ერმა და ბერმა კი უწყის, რომ მსოფლიოს რუკაზე საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღგვილია პირისაგან მიწისა, ოდითგანვე გეორგიად წოდებული, მთელ მსოფლიოში განთქმული, მებრძოლი და მწიგნობარი ხალხით დასახლებული, ღვთისმშობლის წილხვედრი პაწაწინა ნაწილი დედამიწისა აგერ უკვე ორი საუკუნეა სხვის მიერაა მიტაცებული და მითვისებული, შორს აღარაა ის დღე, როდესაც ქართველი ხალხი, უფლის ნებით, მზის აღმოცისკრებას სრულიად საქართველოს სახელმწიფოს სტატუსით შეეგებება. კვლავ დამკვიდრდება მსოფლიოს რუკაზე საქართველოს კუთვნილი ფერი. მსოფლიოს ხალხები ცნობისმოყვარე მზერას მიაპყრობენ დედამიწის აწ უკვე გაშინდისფერებულ პაწაწინა ნაწილს. აქედან გამომდინარე, გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია ვაუწყოთ მათ, ვისი გორისაც ვართ, საიდან მოვდივართ და საითკენ ვისწრაფვით. ეს აუცილებელია, რათა საქართველომ კანონიერად დაიბრუნოს თავისი მკვიდრი ადგილსამყოფელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის. ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა კრებულიდან, რომელსაც, იმედია, ქართველი კაცი ჩვეული გონიერებით განსჯის, უპირველეს გადადგმულ ნაბიჯად მივიჩნევ, მსოფლიოს შვიდი საოცრების ანალოგიით, დაისტამბოს და სხვადასხვა ენაზე ითარგმნოს წიგნი — „საქართველოს შვიდი საკვირველების“ სახელწოდებით. ამ წიგნში ხომ ჩვენი უძველესი და მართლაც საკვირველი ისტორია მოიყრის თავს, რომლის გაცნობა მსოფლიოს ხალხებისათვის ორმხრივ სარგებლიანი იქნება. თუ მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის მოიხსენიებენ ისეთ საოცრებებს, როგორებიცაა ფიდიასის ზევსის ქანდაკება, სემირამიდას დაკიდული ბაღები, როდოსის კოლოსი და ა. შ. განა ქართული ფენომენი, ქართული გონი და მარჯვენი საუკუნეების განმავლობაში ნაკლებ საკვირველებებს ქმნიდნენ? ვიმეორებ, გონი და მარჯვენი— მეთქი, რადგან ბუნების მიერ შექმნილი საოცრებანი ადამიანის ქმნილებად ვერ ჩაითვლება.

ამ წიგნის შექმნის იდეას მხარს უჭერენ პროფესორები: როინ მეტრეველი, ლევან სანიკიძე და სხვა საზოგადო მოღვაწენი. წინასწარი ბჭობის საფუძველზე, ჩვენს მიერ დადგენილია საქართველოს საკვირველებათა სავარაუდო ნუსხა და ნაწილობრივ იმ ავტორთა ვინაობა, ვინც არ დაიშურებს თავის ნიჭსა და უნარს და დაგვეხმარება ხსენებული წიგნის შექმნაში.

მკითხველს განსასჯელად ვთავაზობთ ნუსხას, რომელიც ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ქართული ანბანი, ქართული სიმღერა, ქართული ხუროთმოძღვრება, ქართული ვაზი (ღვინისა და ვაზის კულტთან დაკავშირებული ტრადიციები), დიდგორის ბრძოლა, ქართველი წმინდანები, აკადემიათა სამება.

განსხვავებული აზრის მქონე მკითხველებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებანი შემდეგ მისამართზე: **თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.**

**ზურაბ ჩაჩანიძე,**

**ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

**საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.**

## სარედაქციო წინათქმა

**ამას წინათ ტელევიზიით გადაიცა საქართველოს ეროვნული კონგრესის სესიაზე ბატონ თეიმურაზ სუმბათაშვილის გამოსვლა, რომელმაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში და შესაძლოა კიდეც განსაზღვრა შემდგომ განვითარებული არცთუ სასურველი მოვლენები. ამ გამოსვლით ოპოზიცია გარკვეულად დაუპირისპირდა რესპუბლიკის ახალ ხელისუფლებას, მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას. ვთქვათ პირდაპირ (ამას არც ოპოზიცია უარყოფს), ხალხის უმეტესობამ არ მიიღო კონგრესში შემავალი პოლიტიკური პარტიების პოზიცია, მაგრამ რამდენადაც ძნელია სატელევიზიო გამოსვლის მოსმენით განსაზღვრო და შეაფასო ამ პოზიციის ავკარგი, საჭიროდ ჩავთვალეთ გამოსვლის ტექსტის გამოქვეყნება. სჯობს, საზოგადოებამ, თვითონ განსაჯოს, რა არის მასში მისაღები და რა არა, და ვის უნდა დაუჭიროს მხარი. ამასთან, ეს იმ მოსაზრებასაც გააქარწყლებს, თითქოსდა პრესას, ტელევიზიას თუ რადიოს ვინმე ზღუდავდეს.**

# საქართველოს ეროვნული კონგრესის თვალსაზრისი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ

## ბატონ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენება, წაკითხული საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, დანიშნული 1990 წლის 25 მარტს, როგორც მოგეხსენებათ, გადატანილი იქნა შემოდგომისათვის და ჩატარდა 28 ოქტომბერს.

25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა დაბრალდა შეურიგებელ ოპოზიციას, მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით, შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ შეურიგებელ ოპოზიციის სინამდვილეში, არაფერი უჩვეულო და განსაკუთრებული არ მოუმოქმედებია ამ არჩევნების ჩასაშლელად — შეურიგებელი ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებდა უზენაესი საბჭოს არჩევნებს, განუწყვეტლივ ეწეოდა არჩევნების საწინააღმდეგო პროპაგანდას და ამ პოლიტიკური ბრძოლის შედეგი მცირე არ იყო, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეურიგებელი ოპოზიციის პოლიტიკურ ძალისხმევას, 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა მოჰყვებოდა — ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას შესძლებდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ფალსიფიცირებული არჩევნების ჩატარების მდიდარი გამოცდილება ჰქონდა და ჰყავდა კადრები, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი არჩევნების ჩატარების იურიდიული დადასტურება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ნაწილი ამომრჩევლებისა საარჩევნო უბნებში არ მოვიდოდა.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ჭეშმარიტი მიზეზი 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლისა, საჭიროა სწორად შევაფასოთ იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია, რადგან ეჭვგარეშეა, არჩევნები ჩაშალა მან, ვინც უშეცდომოდ შეაფასა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა არჩევნებისწინა საქართველოში — პოლიტიკური ვითარება კი ასეთი გახლდათ: საქართველოს კომპარტია, სახალხო ფრონტი და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ჩაბმულნი იყვნენ საარჩევნო კამპანიაში, რადიკალური, შეურიგებელი ფრთა კი, ბოიკოტს უცხადებდა უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ამგვარად, 28 მარტს დანიშნული არჩევნების შედეგად, საქართველოს უზენაეს საბჭოში, ბუნებრივია, თავს მოიყრიდნენ საქართველოს კომპარტიის, სახალხო ფრონტის და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები, ხოლო შეურიგებელი ოპოზიცია, ცხადია, დარჩებოდა უზენაესი საბჭოს გარეთ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში, სწორედ ეროვნული მოძრაობის შეურიგებელი ფრთა წარმოადგენდა ძლიერსა და გავლენიან პოლიტიკურ ძალას, მაშინ ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისეთი უზენაესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იქნებოდა წარმოდგენილი ეროვნული მოძრაობის ფაქტიური წამმართველი — შეურიგებელი ოპოზიცია, ვერ მოიპოვებდა ქართველი ხალხის ნდობას და იგი არსებითად, ძველ უზენაეს საბჭოზე მეტ პოლიტიკურ რეპუტაციას ვერ შეიძენდა. ამავე დროს, შეურიგებელი ოპოზიცია, დარჩენილი უზენაესი საბჭოს გარეთ — საწინააღმდეგო ფრონტზე, თუნდაც მხოლოდ თავდაცვის ინსტინქტის წყალობით, უეჭველია, დასძლევდა შინაშლილობას, გაერთიანდებოდა, შეკვრებოდა და უზენაესი საბჭოს პოლიტიკურ გავლენას, ისედაც უმნიშვნელოს სავსებით გააქარწყლებდა — ერთი სიტყვით, 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს მოჰყვებოდა ოფიციალური ხელისუფლების შესუსტება და ეროვნული მოძრაობის გაძლიერება.

ვისთვის იქნებოდა დამღუპველი პოლიტიკური ძალთა ამგვარი განაწილება საქართველოში? — რა თქმა უნდა, რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლებისათვის, და სწორედ მან გაუჩინა, 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლის იდეა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება, ამ იდეის პასიური განმხორციელებლის როლში აღმოჩნდა. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ოფიციალური გადაწყვეტილება 25 მარტს დანიშნული არჩევნების გადავადების შესახებ, მიღებული იქნა ეროვნული მოძრაობის პირველი საგანგებო კონფერენციის წარმატებით ჩატარების შემდეგ. მოგეხსენებათ, ამ კონფერენციამ იმუშავა 13, 14, 15 მარტს და დამთავრდა შეურიგებელი ოპოზიციის სრული გამარჯვებით — არჩეულ იქნა ეროვნული მოძრაობის პირველი წარმომადგენლობითი ორგანო — ეროვნული ფორუმი — ამ წარმომადგენლობით ორგანოში შეურიგებელი ოპოზიციის გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა გახლდათ ჭეშმარიტი მიზეზი. 25 მარტს დანიშნული არჩევნების გადატანისა — იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ არჩევნები გადაიტანა, რადგან დაინახა, რომ 25 მარტს არჩეული უზენაესი საბჭო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ მეტოქედ ვერ გამოდგებოდა და მხოლოდ მის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, თავისი სისუსტის გამო. იმპერიული ხელისუფლებისათვის საჭირო იყო, ეროვნულ ფორუმში გაერთიანებული შეურიგებელი ოპოზიციის ძლიერი ფრონტის დაშლა — ამ ამოცანის შესრულება კი, 25 მარტს დანიშნული არჩევნების შედეგად ფორმირებულ უზენაეს საბჭოს არ შეეძლო — სწორედ ამიტომ, არჩევნები გადატანილ იქნა და ჰაერში, ბაცილასავით გაჩნდა, შემოდგომაზე, არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების იდეა — ამ იდეის ავტორიც იმპერიის უზენაესი ხელისუფლება გახლავთ, მაგრამ იმპერიულმა ხელისუფლებამ ეს იდეა ისე ოსტატურად შემოგვაპარა, რომ გულუბრყვილო ქართველ პატრიოტებს, ეს იდეა დღესაც საკუთარი გონების ნაყოფი ჰგონიათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ბრძოლით მოიპოვეს ამ იდეის განხორციელების შანსი — არსებითად კი, დემოკრატიული არჩევნების კიდევ უფრო შელამაზება, გაკეთილშობილება მრავალპარტიულობით, იმპერიულ ხელისუფლებას დასჭირდა სწორედ საქართველოში და სხვაგან არსად, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში, ძლიერი და გავლენიანი ფრთა ეროვნული მოძრაობისა უზენაეს საბჭოში შესვლას მიუტევებელ პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნევდა — ვთქვათ, ლიტვაში, საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ, იქ, ძლიერი და პოპულარული ოპოზიციური ძალა — „საიუდისი, სწორედ უზენაეს საბჭოში შესვლას ისახავდა მიზნად, ამიტომ იმპერიულ ხელისუფლებას, ლიტვაში არ დასჭირვებია ისეთი საცდუნებლის გამოყენება, როგორიც არის მრავალპარტიული არჩევნები.

იმპერიული ხელისუფლების ხერხმა გასჭრა. საქართველო მოიცვა მრავალპარტიული არჩევნების იდეამ — არ დარჩენილა არცერთი სახელმოხვეჭილი, პოპულარული საზოგადო მოღვაწე — ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელმაც პროპაგანდა არ გაუწია ამ იდეას — იმპერიული ხელისუფლების ოსტატობამ მწვერვალს მიაღწია — მან, მტრებიც კი აამუშავა იმპერიის მეორე მოდერნიზაციის გეგმის შესაბამისად. იმპერიულმა ხელისუფლებამ არამარტო გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა — ქართველი ხალხის აზრთამპყრობელთა შეცდომაში შეყვანა და ამის შედეგად, ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ცდუნება შესძლო, არამედ თავის მთავარ მიზანსაც მიაღწია —გახლიჩა და შეასუსტა ეროვნული ფორუმი — ფორუმიდან გავიდა შეურიგებელი ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი და მრავალპარტიული არჩევნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურ პროპაგანდისტად იქცა.

ეროვნულ ფორუმში დარჩენილი შეურიგებელი ოპოზიციის მხრიდან უზენაესი საბჭოს არჩევნების აქტიურმა ბოიკოტირებამ ყოველგვარი აზრი დაჰკარგა — ქართველი ხალხი მოხიბლული იყო მრავალპარტიული არჩევნების იდეით და ზარ-ზეიმით მიიღო კიდეც მონაწილეობა დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში 1990 წლის 28 ოქტომბერს.

განსაკუთრებული პოლიტიკური ალღო ან საიდუმლო ინფორმაცია არ სჭირდება იმის დადგენას, რომ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ხელისუფლებას შემუშავებული აქვს იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიული გეგმა — დღესავით ნათელია, რომ ამ გეგმის პირველი ნაწილი ითვალისწინებს დაპყრობილ ტერიტორიებზე დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და ვითომდაც სუვერენული, სინამდვილეში კი სუვერენობის ე.ი. უზენაესობის არმქონე „უზენაესი" ხელისუფლების ფორმირებას — თავისი სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი იმპერიულმა ხელისუფლებამ განახორციელა უკლებლივ ყველა დაპყრობილ ქვეყანაში, რჩებოდა მხოლოდ საქართველო — მხოლოდ საქართველო არ იყო მომწყვდეული იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიულ მოდელში — 28 ოქტომბერს კი, საქართველოც ამ მოდელში მოექცა — პატიოსანი, მაგრამ გულუბრყვილო პატრიოტების პოლიტიკური სიბეცით, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე ავტორიტეტების აქტიურობით და მოქნილი, ვერაგული იმპერიული პოლიტიკით დეზორიენტირებულმა ქართველმა ხალხმა ლამის ხელიდან გააგდო ის ერთადერთი პოლიტიკური კოზირი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონიერს ხდის ბრძოლას 1921 წელს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის — საქმე ის არის, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ისე დასტოვა დაპყრობილი საქართველო, რომ დამარცხება არ აღიარა, კაპიტულაციას ხელი არ მოაწერა — აქედან გამომდინარე, ემიგრაციაში წასული, ფაქტობრივად დამარცხებული დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება — იურიდიულად, დღესაც დაუმარცხებელი, ერთადერთი კანონიერი ხელისუფლებაა, რომელსაც უფლება აქვს ითვლებოდეს იმ ტერიტორიის უზენაეს მფლობელად, მპყრობელად, რომელიც მოქცეულია ერთა ლიგის მიერ რეგისტრირებულ და დადასტურებულ საზღვრებში — დამპყრობელმა, თავისი საერთაშორისო დანაშაულის ე.ი. სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალმომრეობით დაპყრობის, ანექსიის შესანიღბავად, საქართველოში მოაწყო გასაბჭოების ინსცენირება და გაბატონა მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლება არასოდეს არ ყოფილა აღიარებული ხალხის მიერ — არც რეფერენდუმის, არც დემოკრატიული არჩევნების გზით — ოფიციალური, მარიონეტული ხელისუფლება დრო და დრო კომპლექტდებოდა ფალსიფიცირებული არჩევნების წყალობით, ე.ი. ფაქტიურად ინიშნებოდა, ხოლო ვიდრე ეს გრძელდებოდა, ურყევ ფაქტად რჩებოდა ემიგრაციაში წასული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების იურიდიული კანონიერება ამგვარად, იმპერიულმა ხელისუფლებამ, 1921 წლიდან დღემდე, ვერ მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების იურიდიული კანონიერების გაბათილება — დღეს კი, ქართველმა ხალხმა თვითონვე დაამარცხა იურიდიულად, თავისუფალი საქართველოს ხელისუფლება, რადგან დემოკრატიული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და დიდი ენთუზიაზმით აირჩია უზენაესი საბჭო — ე.ი. 69 წლის შემდეგ ნებაყოფლობით აღიარა ხელისუფლების ის ინსტიტუტი, რომელიც დამპყრობელმა თავს მოგვახვია 1921 წელს, თავისი დანაშაულის შესანიღბავად — ეს შეცდომა, სამწუხაროდ უკვე ჩადენილია, ჩადენილია იმის მიუხედავად, რომ შეურიგებელი ოპოზიცია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ყველა მიტინგზე, ყოველ შეკრებაზე ხმის ჩახლეჩამდე ქადაგებდა: დამპყრობლის მიერ დაწესებული ხელისუფლების ინსტიტუტის არჩევა — ნებაყოფლობით! — დაპყრობილის მიერ საბედისწერო შეცდომა, არსებითად ისტორიული დანაშაულია — გონს მოვიდეთ. ნუ ჩავიდენთ ამ დანაშაულს!... მაგრამ რაც მოხდა, უკვე ისტორიას ეკუთვნის, ველარ ამოვშლით მატიანედან — დღეს მაინც ნუ შევეცდებით და სწორად შევაფასოდ მდგომარეობა — უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ, რა პოლიტიკური კაპიტალი დაგვრჩა ხელთ 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ — ნამდვილად გაუქმდა თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერება, ე.ი. შეწყდა თუ არა მისი სამართლებრივი არსებობა? — საბედნიეროდ, არა! — მართალია, 28 ოქტომბრის არჩევნებმა სადავო გახადა ის, რაც ადრე ურყევ ფაქტს წარმოადგენდა და სადავო არ იყო, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას დღესაც აქვს საკმარისი არგუმენტები, რათა დაამტკიცოს შემდეგი:

1990 წლის 28 ოქტომბრამდე, საქართველოს უზენაესი საბჭო, დამპყრობლის მიერ შექმნილი, ანექსიის ფაქტის შემნიღბავი, არაკანონიერი ხელისუფლების ორგანო იყო — პოლიტიკურად ფიქტიური, უზენაესობის არმქონე, მარიონეტული. საქართველოს ტერიტორიაზე ძალმომრეობით იყო შეჩერებული თავისუფალი საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ხოლო დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ არაკანონიერი საკანონმდებლო აქტები: სსრკ კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების კანონი საბოლოოდ დაამტკიცა და აამოქმედა სსრკ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით არსებულმა, ე.ი. **არაკანონიერმა** უზენაესმა საბჭომ, ამ არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ ჩატარა ეს არჩევნები — არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონი — არაკანონიერია! არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ, არაკანონიერი საარჩევნო კანონის შესაბამისად ჩატარებული არჩევნები **არაკანონიერია** და ამჟამად, 28 ოქტომბერს ჩატარებული **არაკანონიერი** არჩევნების შედეგად ფორმირებული უზენაესი საბჭოც **არაკანონიერია!**... ამასთან, 28 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა საქართველოში, ე.ი. დაპყრობილ ქვეყანაში, ხოლო დაპყრობილ ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების შედეგად შეუძლებელია სუვერენული, უზენაესობის მფლობელი ხელისუფლების არჩევა, რადგან დაპყრობილ ტერიტორიაზე ფაქტიურად მოქმედებს მხოლოდ დამპყრობლის უზენაესობა, გარანტირებული საოკუპაციო ჯარების მიერ, ამიტომ, დამპყრობელს სწორედ დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების ინსპირირება სჭირდება დაპყრობილ ტერიტორიაზე, რათა საიმედოდ შენიღბოს ქვეყნის დაპყრობის ფაქტი და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ფიქტიურობა — ეს ყოველივე კი, უტყუარად ამტკიცებს იმას, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე ოფიციალური ხელისუფლების არჩევა, დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად ჩატარებული პოლიტიკური აქციაა და არსებითად, დამპყრობლის შეიარაღებული ძალების მიერ დაწყებული და წარმატებით განხორციელებული აგრესიის სახეცვლილ გაგრძელებას წარმოადგენს — ვინაიდან, 1990 წლის 28 ოქტომბრამდე საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ძალმომრეობით დამკვიდრებული, ე.ი. არაკანონიერი ხელისუფლება იყო და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ოფიციალური ხელისუფლებაც არაკანონიერია, რადგან დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა — **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერება გაუბათილებელი რჩება და 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მოქმედება შეაჩერა დამპყრობელმა, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების თანხმობის გარეშე, დღესაც ინარჩუნებს იურიდიულ ძალმოსილებას.**

1917 წელს, ბოლშევიკური პუტჩის შედეგად განხორციელდა რუსეთის იმპერიის პირველი მოდერნიზაცია, რამაც იმპერია ზესახელმწიფოდ აქცია, მაგრამ, ერთის მხრივ, აგრესიულმა ბუნებამ, ხოლო მეორეს მხრივ, კარჩაკეტილობამ და ტოტალიტარულმა რეჟიმმა, იმპერია მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა — საჭირო გახდა იმპერიის ხელმეორე მოდერნიზება — სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს ამჟამად — როგორ შეიძლება იმპერიის შენარჩუნება? — იმპერიის გარდაქმნით ცივილიზებული კაცობრიობისათვის მისაღებ კონგლომერატად, ე. ი. ძალმომრეობით დამყარებული კავშირის გადაკეთებით ნებაყოფლობით კავშირად — ამის მიღწევა კი, შეუძლებელია თუ დაპყრობილ ქვეყნებში, დემოკრატიული წესით არჩეული ოფიციალური ხელისუფლებები არ შეიქმნა, მაგრამ იმისთვის, რომ ეს ოფიციალური ხელისუფლებები საკმარისი ავტორიტეტით იქნან აღჭურვილნი, აუცილებელია ამ ხელისუფლებებში დაპყრობილი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების შესვლა — ეს პროცესი საბჭოთა კავშირში დასრულდა 28 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევით — ამგვარად, იმპერიულმა ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი — ცხადია, მეორე ნაწილი ამ გეგმისა, ითვალისწინებს ახალი ტიპის ურთიერთობის დამყარებას ყოველ დაპყრობილ ქვეყანასთან დაპყრობილის მხრიდან — იმპერიულმა ხელისუფლებამ მოახერხა იმის დემონსტრირება, რომ ეროვნული ძალები დაპყრობილი ქვეყნების ხელისუფლებებში ბრძოლით შევიდნენ — ეხლა, გათამაშდება პოლიტიკური ფარსის მეორე აქტი — ეროვნული ხელისუფლებები არ მოაწერენ ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომელიც გამოქვეყნდა — იმპერიის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ეს ასეც მოხდება — ადრე თუ გვიან უკან დაიხევს და კაბალური სამოკავშირეო ხელშეკრულების ამ პროექტს უკან წაიღებს, რათა გზა გაუხსნას სხვა დოკუმენტს, შედგენილს იმპერიის მიერ მოდერნიზაციის გეგმის შესაბამისად, შესაძლოა თვით იდეაც ტრადიციული სამოკავშირეო ხელშეკრულებისა უარყოფილ იქნეს და **ახალი კავშირის**, ანუ არსებითად, იგივე იმპერიის იურიდიული არსებობა სულ სხვა ტიპის, საიმედოდ შენიღბული აქტის მეოხებით დადასტურდეს — არც ის არის გამორიცხული, რომ ფალსიფიცირებული ბრძოლის პროცესში ეგრეთწოდებული **ცენტრის** გაუქმების საკითხიც დადგეს, რადგან იმპერიის ხელისუფლებამ უკვე მიაღწია იმას, რომ იმპერიული პოლიტიკის ერთადერთ გამტარებლად, თვით **იმპერიის** სიმბოლოდ, ცენტრია მიჩნეული, ხოლო ეგრეთწოდებულმა სუვერენულმა რუსეთმა, არამარტო თავისი, არამედ სხვათა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნის რეპუტაცია მოიპოვა — ამ დროს, **იმპერია**, სწორედ რუსეთი გახლავთ და რუსეთთან დადებული ხელშეკრულება იგივეა, რაც იმპერიასთან ურთიერთობის გაგრძელება, მის შემადგენლობაში დარჩენა ფაქტობრივად — საოცარია, რესპუბლიკური ხელისუფლებები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ისეთი ნიშნისმოგებით აწერენ ხელს, ერთმანეთთან და რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის განმამტკიცებელ დოკუმენტებს, თითქოს ეს ყოველივე იმპერიული ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს — სინამდვილეში კი, ნებსით თუ უნებლიეთ, დაპყრობილი ქვეყნებისა და დამპყრობლის — რუსეთის შემდგომ ინტეგრირებას, ე. ი. იმპერიის შენარჩუნებას, მის მეორე მოდერნიზაციას უწყობენ ხელს.

როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ იმპერიას? — უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ შევცდით და იმპერიის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული გეგმის მოქმედების სფეროში მოვხვდით — ამ სფეროდან თავის დაღწევა კი, ადვილი არ არის — სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე — სხვა არაფერი უშველის ჩვენს დაპყრობილ სამშობლოს — როგორ, ან რატომ გახდება ჩვენი ქომაგი საერთაშორისო სამართალი, თუ ჩვენ თავს მოვიტყუებთ, სხვასაც მოვატყუებთ და იურიდიულად სწორად არ განვსაზღვრავთ ჩვენს რეალურ პოლიტიკურ სტატუსს, მდგომარეობას — ჩვენი მდგომარეობა კი ასეთია:

1921 წელს, ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, ძალმომრეობით გაასაბჭოა და მმართველად დაუნიშნა მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება — ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას — აჯანყდა 1922 წელს, 1924 წელს, შემდეგ იმპერიამ დაიწყო რეპრესიების უწყვეტი სერიების განხორციელება, რამაც შეუძლებელი გახადა მასობრივი გამოსვლების მომზადება დამპყრობლის წინააღმდეგ, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას მრავალი პოლიტიკური ჯგუფი და ცალკეული პიროვნება შეეწირა, ხოლო როცა ტოტალიტარული რეჟიმი ოდნავ შერბილდა, ისე აზვირთდა ქართული ეროვნული მოძრაობა, რომ 1989 წლის 9 აპრილს კვლავ აგრესიის განხორციელება, ძალის გამოყენება დასჭირდა იმპერიას 1921 წელს ანექსირებული საქართველოს შესანარჩუნებლად— ეს ყოველივე, უტყუარად ადასტურებს იმას, რომ საქართველო უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი, ანექსირებული ქვეყანაა — საქართველოს მარიონეტულ, უზენაესობის არმქონე ხელისუფლებას არ შეეძლო და არც ამჟამად შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს არც საგარეო პოლიტიკის, არც საშინაო პოლიტიკის და არც ეკონომიკის სფეროში — ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო **არის** წმინდაწყლის კოლონია, ე. ი. სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყანა, დაპყრობილი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო ძლიერი სახელმწიფოს მიერ — ამგვარად, **საქართველო არის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი, ანექსირებული, კოლონიური ქვეყანა** — როცა იურიდიულად გავაფორმებთ ამ ფაქტს, მაშინ რეალური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა, პოლიტიკურ სტატუსად იქცევა და ჭეშმარიტებას, დოკუმენტად ქცეულს, იმპერია ვეღარაფრით ვერ შენიღბავს — ამას მოჰყვება ერთის მხრივ, ხანგრძლივი და სახიფათო ჭიდილი დამპყრობელთან, ხოლო მეორეს მხრივ, თავისუფალი სამყაროს გაჭიანურებული ჰოჰმანი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდება — მხოლოდ ამ წესით შეიძლება დასაბამი მიეცეს საქართველოს ჭეშმარიტი განთავისუფლების საქმეს — სხვა პოლიტიკური მეთოდი, დაპყრობილი ქვეყნისათვის გამოსადეგი და წარმატების მომტანი ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თანამედროვე კაცობრიობამ არ იცის და ვერც ჩვენ გამოვიგონებთ, როგორც არ უნდა ვეცადოთ.

ფაქტია, რომ იმპერიული ხელისუფლების იურისდიქცია საგრძნობლად შესუსტდა საქართველოში, განსაკუთრებით იმ ზნეობრივი და პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ, რომელიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა 1989 წლის 9 აპრილს — **საქართველო, დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული საბჭოური კოლონიაა** — ამგვარად, 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს ეროვნული მოვალეობაა საქართველოს მიანიჭოს მისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი სტატუსი — დაპყრობილ საქართველოს ტერიტორიაზე დემოკრატიული და მრავალპარტიული წესით არჩევნების ჩატარების პრეცედენტი არ ცვლის საქართველოს რეალურ მდგომარეობას—პირიქით, აუარესებს კიდეც, რადგან ეს პრეცედენტი იმპერიის დღევანდელმა ხელისუფლებამ დაუშვა მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო საიმედოდ შენიღბოს ჩვენი დაპყრობის ფაქტი — ანუ სამართლებრივად დაგვიპყროს, ე. ი. დაგვიპყროს უფრო ოსტატურად, ვიდრე ეს მოახერხა 1921 წელს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ — უზენაესმა საბჭომ, საქართველო უნდა გამოაცხადოს **დაუმორჩილებლობის სტადიაში შესულ, უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფ, ანექსირებულ, კოლონიურ ქვეყნად** — უნდა დაუყოვნებლივ გააუქმოს საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც დამპყრობლის მიერ, ანექსიის ფაქტის შესანიღბად შექმნილი ფიქტიური პოლიტიკური ინსტიტუტი და საკუთარ თავს დააკისროს **დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის დროებითი ორგანოს ფუნქცია** — ჭეშმარიტი უზენაესი ხელისუფლება შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის შესახებ, როცა საერთაშორისო სამართლის მიერ გარანტირებული იქნება საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობა და დღემდე იურიდიული ძალმოსილების მქონე, მაგრამ დამპყრობლის მიერ ძალმომრეობით შეჩერებული სახელმწიფო კანონის, ე. ი. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული **კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდება საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს — ეროვნული პარლამენტის არჩევნები.**

იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართალმა თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა აღასრულოს და საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი მსჯელობის საგნად აქციოს, საკმარისი არ არის ჩვენი რეალური მდგომარეობის იურიდიული გაფორმება, ე. ი. საქართველოსათვის კოლონიური ქვეყნის სტატუსის მინიჭება — ამ პოლიტიკურ აქტს უნდა მოჰყვეს ქართველი ხალხის მიერ განხორციელებული ეროვნული დაუმორჩილებლობის პერმანენტული პროცესი — საერთაშორისო სამართალი ჩვენ დაგვიცავს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ თავისუფლების გარეშე ჩვენ სიცოცხლე არ გვინდა, როცა დაინახავს, რომ ქართველი ერი, როგორც ისტორიის სუბიექტი, თავისუფლებისათვის ბრძოლამ შესაძლოა იმსხვერპლოს — მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება საერთაშორისო სამართალი ჩვენს სასარგებლოდ — ეს მკაცრი რეალობაა და ქართველმა ხალხმა უნდა შესძლოს ამ ულმობელი ჭეშმარიტებისათვის თვალის გასწორება.

საქართველოს ეროვნული კონგრესი შეშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მისული, შეურიგებელი ოპოზიციის განუყოფელი ნაწილი, **მრგვალ მაგიდად** წოდებული პოლიტიკური ალიანსი, არ აპირებს საქართველოს რეალური პოლიტიკური მდგომარეობის იურიდიული გაფორმების საკითხის დაყენებას საქართველოს უზენაეს საბჭოში, არც უზენაეს საბჭოს, როგორც იმპერიული სტრუქტურის, ანუ ანექსიის ფაქტის შემნიღბავი ინსტიტუტის გაუქმების საკითხი შეაქვს უზენაესი საბჭოს დღის წესრიგში და საბჭოური სისტემის ლიკვიდაციას კი არ ცდილობს, არამედ, ჯერჯერობით, მხოლოდ კადრების შეცვლით კმაყოფილდება — ეს არა თუ გააუმჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას, არამედ გააუარესებს კიდეც — საქართველოს ეროვნული კონგრესი შეშფოთებულია იმის გამოც, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახლადფეხადგმული დემოკრატიზაციის პროცესი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა კი არ ძლიერდება, არამედ საგრძნობლად იზღუდება — პრესისა და ტელევიზიის მუშაკებმა ელვის სისწრაფით გადაიტანეს ქვეშევრდომული მზერა კომუნისტური პარტიისაგან მრგვალი მაგიდისაკენ და ამ ანტიდემოკრატიულ მანევრს დაუფარავი სიამაყით ახორციელებენ— სულ ათიოდ დღეში გაჩნდა ახალი ისტებლიშმენტი, პრივილეგირებულთა ჯგუფები, რომელთა შევსებაც სარეკორდო ტემპებით მიმდინარეობს.

საქართველოს უზენაესი საბჭო, ამჟამად, კანონიერია მხოლოდ იმპერიული კანონმდებლობის თანახმად. მაგრამ კანონიერი გახდება ზნეობრივი, ისტორიული და სამართლებრივი თვალსაზრისით თუ საქართველოს რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას იურიდიულად გააფორმებს, უარს იტყვის ფიქტიურ უზენაესობაზე, რომლის განხორციელება არ ძალუძს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია იმპერიის შეიარაღებული ძალების მიერ და საკუთარ თავს უწოდებს იმას, რაც უნდა იყოს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური მრწამსის თანახმად:

**დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის დროებითი ორგანო, არჩეული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის მიერ!** — საქართველოს უზენაეს საბჭოს ამ პოლიტიკური აქტის განხორციელება გაუჭირვებლად შეუძლია, რადგან დეპუტატთა კორპუსის უმრავლესობა გუშინ და გუშინწინ, ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, კერძოდ, მის რადიკალურ ნაწილს —შეურიგებელ ოპოზიციას აკუთვნებდა თავს და თუ მათ დღესაც აქვთ პრეტენზია იმისა, რომ შეურიგებელი ოპოზიციის წევრებად ითვლებოდნენ — მოვალენი არიან ერთგულნი დარჩნენ შეურიგებელი ოპოზიციის პოლიტიკური მრწამსისა!....

ღმერთი ჰფარვიდეს საქართველოს — ამინ!

1990 წლის 30 ნოემბერი.


# პატივცემულო თანამემამულენო!

თუ გსურთ მოახლოებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში უცხოეთის ორგანიზაციებსა და ფირმებთან ურთიერთხელსაყრელი კავშირების დამყარება, კომერციისა და ბიზნესის სფეროში ერთობლივი იდეების რეალიზაციის მიზნით უცხოელი პარტნიორების გამოძებნა.

თუ გსურთ უცხოეთის გავლენიან ფირმებთან თქვენი ორგანიზაციის წარდგენა და წარმოებული პროდუქციის რეკლამირება და რეალიზაცია, როგორც შანეთებზე ასევე კონვერტირებულ უცხოურ ვალუტაზე საზღვარგარეთ წარმოებულა სხვადასხვა პროდუქციის შეძენა,

თუ გსურთ თქვენი ორგანიზაციის ინტერესების კვალიფიციური დაცვა უცხოეთის ფირმებსა თუ ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირების დროს. მიმართეთ რეზო თაბუკაშვილის სახელობის საქართველოს უცხოეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა ცენტრის [illegible] საკონსულტაციო გაერთიანება „ინამი".

ოპერატიულობა, საიმედოობა და მაღალი პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების გარანტია იქნება.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, ბარათაშვილის № 17. ტელეფონი: 98-75-18. ტელექსი: 212126. ტელეფაქსი: 99.00.36.**


## საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამედიცინო განათლების მეთოდკაბინეტთან არსებული კოსმეტიკოსთა სპეციალიზაციის და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები აცხადებს მსმენელთა მიღებას

კურსებზე მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ საბაზო განათლება, მუშაობენ სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ან საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე, ასევე ისინი, ვინც ამჟამად არ მუშაობს.

სწავლების შემდეგ, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კურსდამთავრებულები მიიღებენ კოსმეტიკოსის მოწმობას, რომელიც უფლებას აძლევს იმუშაონ კოსმეტიკურ ან საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებაში.

სწავლების ვადა განისაზღვრება კურსის ფორმის მიხედვით 2-დან 4 თვემდე.

სწავლება ღირს 240-დან 400 მანეთამდე.

გადახდა შეიძლება, როგორც გადარიცხვით (დაწესებულებებიდან მოვლინებული), ისე ნაღდი ანგარიშით.

მსმენელებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება დირექტორის სახელზე, დიპლომის ასლი, 2 ფოტოსურათი 3X4 ზომით, ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან. დაწესებულებიდან მოვლინებულთ დამატებით მოეთხოვებათ მომართვა კურსების დირექტორის სახელზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონით: 34-41-68, ან 35-49-10.

მისამართი კლ. ცეტკინის 200 (ეროვნულ სტადიონთან) 1. სართული.

## საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება № 1

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეროვნული კონგრესის II სესიაზე წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობის უმთავრესი პრინციპების, სტრუქტურებისა და მუშაობის წესის შესახებ.
2. მოცემული დოკუმენტი საფუძვლად დაედოს საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობას მის უფლებამოსილების პერიოდში.

## საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება № 2

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ი. ბათიაშვილი, გ. გოგბაიძე, მ. გიორგაძე, ჯ. იოსელიანი, გ. კობახიძე, რ. მიქაბერიძე, ვ. მთავრიშვილი, გ. ყორყოლიანი, ი. სარიშვილი, თ. სუმბათაშვილი, თემ. ფიფია, თორ. ფიფია, ი. ქადაგიშვილი, თ. შარძახაშვილი, ო. ჩხეიძე, ი. წერეთელი, გ. ხაინდრავა, ი. ხაინდრავა, ვ. ხუხუნაიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, გ. ჭანტურია.
2. საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი შეუდგეს თავისი მოვალეობების შესრულებას.

# განცხადება

ამა წლის 4 დეკემბერს შედგა რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია „ჯავახეთის" (პრეზიდენტი გ. ძიძიგური), არაფორმალურ გაერთიანება „ჯავახეთის აღორძინების" (ომარ გრიგოლაშვილი) და მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ საამშენებლო რაზმის (გ. ნიკოლაიშვილი) გამგეობათა გაერთიანებული სხდომა.

სხდომაზე გადაწყდა ამ სამი საზოგადოების შერწყმა გაერთიანება, ახლა გამგეობამ ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია ომარ გრიგოლაშვილი.

ავღანეთის ომის მონაწილის მე-2 ჯგუფის ინვალიდს (მრავალგზის ნაჭრილობევი) ზურაბ ნოდარის ძე სურგულაძის 8 თვის ვაჟიშვილს, ნოდარს, აღმოაჩნდა მწვავე ლეიკოზი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, რისთვისაც საჭიროა მკურნალობა საზღვარგარეთის კლინიკაში. ამასთან დაკავშირებით ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირი თხოვნით მიმართავს სახელმწიფო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კერძო პირებს, მათ ვისაც გააჩნია თავისუფლად კონვერტირებული ვალუტა ან საბჭოთა მანეთები, გამოიჩინონ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად აღმოუჩინოთ დახმარება პატარა ნოდარს!

**ჩვენი ანგარიშის ნომერია: № 936430248 მფო 805227**

**საქართველოს საგარეო ეკონომიკური ბანკი. ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირი ნოდარ სურგულაძისათვის.**

**საბჭოთა მანეთისათვის №70000 5268**

**საქართველოს საგარეო ეკონომიკური ბანკი.**

**ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირი — ნოდარ სურგულაძისათვის.**


**საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი თეატრალური პროპაგანდის ცენტრი (დავით აღმაშენებლის 61)**

1990 წლის 25 დეკემბრიდან 1991 წლის 8 იანვრამდე გაიმართება საშობაო თეატრალიზებული სანახაობა ბავშვებისათვის, წარმოდგენილი იქნება ვაჟა-ფშაველას

ტყის კომედია

მონაწილეობენ — ელენე ყიფშიძე, ნინო ჩხეიძე, ქეთევან კიკნაძე, თამარ დათუაშვილი, ეკა ქუთათელაძე, ბადრი ბეგალიშვილი, ზურაბ ცინცქილაძე, ვაჟა ფირცხალაიშვილი, შოთა მშვენიერაძე.

დასაწყისი დღის 3 და 5 საათზე

ბილეთები იყიდება საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სალაროში (დავით აღმაშენებლის 61).

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ტელ: 99-89-74, 93-67-55.

**საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი თეატრალური პროპაგანდის ცენტრი (დავით აღმაშენებლის 61)**

24, 25 დეკემბერი

შეხვედრა-კონცერტი

ოღონდ ერთმანეთი გვიყვარდეს

მონაწილეობენ:

კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

საქტელერადიოკომიტეტის ქალთა ვოკალური ტრიო „ჰარმონია"

ქეთინო ჯაფარიძე, ნინო შირიაშვილი, ნანა გურგენიძე.

დასაწყისი საღამოს 7.30 საათზე

ბილეთები იყიდება საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სალაროში (დავით აღმაშენებლის 61).

ტელ. 99-89-74.


# საქართველოს შემატოს

საქართველო მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ვაჟთა ხმების სასიმღერო ქვეყანა. თითქმის ყველა ქართული სიმღერა ითხოვს დიდ ძალისხმევას და მასშტაბურობას.

რა პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, დღემდე, თუ არ ჩავთვლით საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რამდენიმე საგასტროლო მოგზაურობას, ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნებას საზღვარგარეთ მხოლოდ მცირე ფორმის ვოკალური ანსამბლები წარადგენენ ხოლმე. ეს კი სრულ შთაბეჭდილებას ვერ უქმნის უცხოელ მსმენელს ქართული სიმღერის ფენომენზე.

სულ ახლახანს თბილისის საკონცერტო აფიშებმა გვამცნო დიდი ფორმის ვაჟთა ფოლკლორული გუნდის „შარავანდის" დაარსება. „შარავანდი" სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებასთან შეიქმნა. ეს არ არის შემთხვევითი ფაქტი. საქმე ის გახლავთ, რომ სულ რაღაც წლინახევრის წინ დაარსებული ეს საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს სა-

(დასასრული მე-6 გვ.)

# ღია წერილი ფაზილ ისკანდერს

**თქვენმა** ახალმა სტატიამ („წერილი მეგობრებს“, „პრავდა“, 2, 3 დეკემბერი) სევდიან გუნებაზე დამაყენა. სიმართლე გითხრათ, ადრე საქართველოსადმი „მოძღვნილი“ თქვენი რამდენიმე ღვარძლიანი მოთხრობა რომ წავიკითხე, შეპასუხების სურვილი არ გამჩენია. გავიფიქრე, რა ვუყოთ, ცდება, მაგრამ თავისი ხალხის სიყვარული აზრმავებს და ამ ურაპატრიოტული შეცდომების განქიქება არ ღირს, „...მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“-მეთქი.

ახლა კი, „წერილი მეგობრებს“ რომ ჩავათავე, აშკარად ვიგრძენი მანქურთის უბედური ყოფაც და იმპერიის სულმოყიდული კაცის ორცეცხლშუა ჩალიჩიც. მე, ქართველი მწერალი რევაზ მიშველაძე წერილს გწერთ თქვენ, ფაზილ ისკანდერს, მე შემიძლია თამამად დავიწყო ამ სიტყვებით წერილი, თქვენ კი, აფხაზთა ქომაგი, თქვენს თავს აფხაზ მწერალს ვერ უწოდებთ, რადგანაც რუსი მწერალი ბრძანდებით, აფხაზურად (ადიღეურ ენაზე) ერთი სიტყვაც არ დაგიწერიათ.

ამ ბოლო დროსო, ასე იწყებთ, მკითხველები ხშირად მწერენო, „ჩვენი უძველესი რუსული ტრადიციისამებრ“ მკითხველს იმედი აქვს, რომ მიიღებს პასუხს შეკითხვებზე, რაც აწუხებსო. იმ კითხვებს შორის, რომელიც თურმე თქვენს მკითხველებს აწუხებს, არის — „რა ხდება ჩემს აფხაზეთში?“. „ჩვენი რუსული უძველესი ტრადიციისამებრო“, როცა წერთ, ბუნებრივია, რუსად ჩანხართ (სხვა შემთხვევაში უძველეს ტრადიციებს თქვენად არ მიიჩნევდით), მაგრამ უეცრად გაგახსენდებათ, რომ იმპერიის შეკვეთით დაწერილ ამ წერილში თქვენს მშობელ კუთხეზეც უნდა თქვათ ორიოდე სიტყვა და მორცხვად დააბრალებთ მკითხველს არარსებულ ინტერესს იმაზე, თუ „რა ხდება თქვენს აფხაზეთში“. „ჩემს აფხაზეთს“ ჰკვიანურ კონტექსტში აქცევთ, პატრონი — რუსი ვერ შეგედავებათ. წერილის დასასრულს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, გაიფიქრებთ და კიდევ ერთხელ დაამტკიცებთ რუსობას: „ამერიკაში **ჩვენს** ემიგრანტებს შორის ვცხოვრობდი. ეს არის **ჩვენი** ჩვეულებრივი ინტელიგენცია“. მაგრამ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს „ჩვენი“, ხომ შეიძლება, აფხაზი ინტელიგენცია ეგონოს? ამ ეჭვის გასაფანტავად, ქვეყნის გასაგონად, იქვე დასძენთ: „მითხრეს, ამერიკის კონგრესმა მადლობა გადაუხადაო რუს ემიგრანტებს ამერიკულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის“.

აი, ასე ნემსის ყუნწში ძვრებით რუსობასა და აფხაზობას შორის, მი და მო აწყდებით, რათა არც მწვადი დაწვათ და არც შამფური. დამქირავებელსაც ასიამოვნოთ და „თქვენს აფხაზეთსაც“ მოუფონოთ. ერთგან ამ ლავირება-ქამელეონობით დაღლილი, რჯულდაკარგული კაცი, ვერ მალავთ გულისთქმას და ამბობთ იმას, რაც მხოლოდ უეროვნო კაცის შემაძრწუნებელი ფილოსოფიაა და სხვა არაფერი: „ჩვენი სახელმწიფო მოქალაქეთა ეროვნებებით რომ მანიპულირებს (ყალთაბანდობს, რ. მ.), იქიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა პასპორტში ეროვნებაა მითითებული. თითქოსდა ადამიანს თვითონ არ ახსოვდეს თავისი წარმომავლობა“.

საით უკაკუნებთ, ბატონო ფაზილ? რაო, ზედმეტია პასპორტში ეროვნების მითითებაო? ეს ხომ „ეროვნებათა შერწყმის“ კოსმოპოლიტური თეორიის უტიფარი გამეორებაა თქვენს მიერ, მწერლის მიერ. ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ ეროვნება კაცს პასპორტში იმიტომ უწერია, რომ არ დაავიწყდეს? განა თქვენთვის ასე გაუგებარია, რომ მწერლის უპირველესი მოვალეობა თავისი ერის ჭირისუფლობა და ეროვნული თვითმყოფადობისთვის ბრძოლაა? მესმის თქვენი. რუსის სამსახურში შესული რუსი მწერალი რუსული ოსპის წვენს უხიხართ და ხანდახან უსიამოვნოდ გაგაჟრჟოლებთ იმის შეგნება, რომ გვარტომით რუსი არ ბრძანდებით (არც აფხაზი ხართ, მაგრამ თქვენი თურქული წარმოშობით აფსუობა არ გეუცხოვებათ). ხომ აჯობებდა, დამთავრდეს ჩემი ლამურობის ჟღერხული დღეები და ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა პასპორტში გაქრეს ეროვნების მაჩვენებელი გრაფაო, ოცნებობთ.

ყოველივე ამის შემდეგ ხომ უნდა შემცოდებოდით, ბატონო ფაზილ, და გულწრფელად გითხრათ, შემეცოდეთ. როცა ჩემთვის აშკარა გახდა თქვენი „წერილის“ მიზანი და შექმნის ტექნოლოგია, დავსძინე, არ შეიძლება ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი გულწრფელი იყოს-მეთქი, მაგრამ „წერილში“ შეკრებილმა უმეცრებისა და თავაღერილი ცილისწამების გვირგვინმა ისე გამაღიზიანა, რომ ბოლომდე უნდა ჩავყვე თქვენს ინსინუაციურ თხზულებას.

„ვიღაც ისტორიკოსსო“, წერთ, პავლე ინგოროყვას, უთქვამს აფხაზეთში აფხაზები სამასი წლის წინათ გამოჩნდნენო. ქვემოთ პავლე ინგოროყვას ამ მოსაზრებას „ფანტაზიის ნაყოფს“ და „სისულელეს“ უწოდებთ. გაპატიებდით „ვიღაც ისტორიკოსის“ კი არა,. ბრწყინვალე ქართველი ენციკლოპედისტის პავლე ინგოროყვასთვის თქვენი უზრდელი დამოკიდებულების ფორმასაც, ჰკუასთან ოდნავ ახლოს მყოფი ერთი არგუმენტიც რომ მოგეტანათ მისი „ფანტაზიის ნაყოფის“ გასაბათილებლად.

როგორია თქვენი მეცნიერული რკინის ლოგიკა იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზები (აფსუას ტომი, რ. მ.) სამასი წლის წინათ არ მოსულან საქართველოს შავიზღვისპირეთში?

„ოდესღაც იყო აფხაზეთის სამეფო. მერე, თამარ მეფის დროს იგი საქართველოს ფარგლებში მოექცა. თამარ მეფემ თავის შვილს, გიორგი მეოთხეს „ლაშა“ უწოდა, რაც აფხაზურად ბრწყინვალეს ნიშნავს. ჩვენამდე მოღწეული ლეგენდების მიხედვით თამარს აფხაზეთში დასვენება უყვარდა და, შეიძლება, ჩვენი წყლებით უშვილობასაც კი მკურნალობდა. თუ აფხაზები თამარის გარდაცვალებიდან ხუთასი წლის შემდეგ გამოჩნდებიან საქართველოში, როგორ მიხვდა თამარი, რომ ასე უნდა მომხდარიყო? ან საიდან გაიგო თამარმა, რომ ლაშა აფხაზურად „ბრწყინვალეს“ ნიშნავს?

რა თქმა უნდა, საქმე უფრო მარტივადაა: თამარ მეფე აფხაზეთში ყოფნისას აფხაზური ენის გარემოცვაში აღმოჩნდა ანუ იმ ენის წიაღში, რომელზეც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ. აშკარაა, რაღაც მიზეზის გამო, ეს ენა თამარს მოსწონდა და აკი შვილსაც ამიტომ უწოდა აფხაზური სახელი“.

ესაა სულ თქვენი ცოდნა, ბატონო ფაზილ? „რაღაც მიზეზის გამო“-ს უტიფრული ქვეტექსტი თქვენს სინდისზე იყოს, თამარის წმინდა სახელს ჩემი დაცვა არ სჭირდება, მაგრამ ნუთუ სირცხვილის გრძნობა არ გიპყრობთ თამარის უშვილობაზე თქვენამდე მოღწეულ აფხაზურ ლეგენდებს რომ ეყრდნობით და მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში აფსუათა ცხოვრების უმთავრეს არგუმენტად ის მიგაჩნიათ, რომ თურმე თამარ მეფემ თავისი მომრჩენი აფხაზეთის ხათრით თავის შვილს აფხაზური სახელი — ლაშა უწოდა? მერე და ვინ გითხრათ, სად ამოიკითხეთ რომ „ლაშა“ მაინცდამაინც აფხაზური (ადიღეური) სიტყვაა? ჩახედეთ ლექსიკონებს და იოლად დარწმუნდებით რომ ლაშას ადიღეურთან (იმ ენასთან, ახლა თქვენ რომ წერთ და ლაპარაკობთ) საერთო არაფერი აქვს. ლაშა იმერულ დიალექტზე ტუჩას, დიდტუჩიანს ნიშნავს. დავიჯერო, თამარ მეფისთვის ადიღეური უფრო ახლო იყო, ვიდრე იმერული დიალექტი? ესეც არ იყოს, ვინ დაამტკიცა, რომ ლეონტი მროველის მიერ ნახსენები „აფსართა ენა“ ბუნებაში არ არსებული აფხაზური ენა გახლავთ?

გარდა ამისა, „ლაშა“ გვხვდება აღმოსავლურ ენათა არაერთ ლექსიკონში (სირიულშიც, რ. მ.) ასე რომ „ლაშას“ მსოფლიოს დაახლოებით ოცდახუთ ენაზე მაინც ექნება სხვადასხვა მნიშვნელობა. ჯერ ერთი აფსუას ენაზე „ლაშა“ კი არ ნიშნავს ბრწყინვალეს, არამედ „ალაშა“. გარდა ამისა, ჩვენ ლაშარის ჯვარიც გვაქვს და იქნებ ესეც ადიღეური წარმოშობისაა და თქვენებური, აფხაზურია? იქნებ „ლაშქარიც“ (თამარ მეფემდეც რომ არსებობდა) აფსუას სიყვარულით დაერქვა მხედრიონს? ან „ლაშიჭალა“ სოფელს და „ლაშურა“ მდინარეს?

თქვენ, ბატონო ფაზილ, რუსული სკოლა-უმაღლესებში ხანგრძლივი განსწავლის და რუსული ლიტერატურის მრავალწლიანი, უანგარო სამსახურის გამო დრო არ დაგრჩებოდათ თქვენი სამშობლოს — აფხაზეთის ისტორიაში გარკვეულიყავით. თუ არ მიწყენთ, ჩაგახედებთ:

ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მეხუთე საუკუნეების ისტორიკოსი ჰეკატე მილეთელი შავი ზღვის პირას (სადაც ახლა თქვენ, აფსუები ცხოვრობთ) კოლხებს და კოლხეთის მთებს იხსენიებს. შემდგომში პლინიუსი, არიანე და სტრაბონიც ეხებიან ამ ადგილებს, ჩამოთვლიან კიდეც იქ მცხოვრებ ტომებს, მაგრამ არსად სიტყვა აფხაზს ან აფსუას ჭაჭანება არ არის. სამაგიეროდ ყველგან იხსენებიან ეგრისელები (მეგრელები), ლაზები, ჭანები, სანიგები (სვანები) და მისიმიელები. ქართულ სამეფოს, რომელიც დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, კოლხიდა, ეგრისი, ლაზიკა, ხოლო მერვე საუკუნიდან აფხაზეთი ერქვა.

ნაადრევია სიამაყით სახის განათება, ბატონო ფაზილ. ქართულ სამეფოს (დედაქალაქი ქუთაისი) მისი ერთი ეთნოგრაფიული ქართული კუთხის სახელი აფხაზეთი ერქვა და, არავითარი საერთო არ ჰქონდა აფსუას ტომთან. ანუ იმ ერთან, რომლის ენაზეც თქვენ ახლა ლაპარაკობთ.

თუ ერთი წუთით დავუშვებთ, რომ აფხაზეთის პირველი მეფე ლევან ერისთავი აფსუა გახლდათ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ მისი მემკვიდრენი დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვანიც ადიღეველნი იყვნენ, „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებელმა ადიღეურ ენაზე (თანამედროვე აფხაზური) დაწერა და მერე თარგმნა ქართულად. არაქართულ ენაზე მიმართავდა თამარი მხედრიონს, ქუთაისი ადიღეურ ენაზე მეტყველებდა, ხოლო მარტვილის, კუმურდოს, ბედიის, ლიხნის, ბიჭვინთის, მოქვის, გელათის, ბაგრატის და სხვა მონასტრები „აფხაზეთში“ აფხაზთა მეფეებმა ააგეს და აიხირეს: მოდი, ქართული წარწერებით დავამშვენოთ, რომ შთამომავლებს გზა-კვალი ავურიოთ, ასეთივე მეცნიერული სოფიზმით შეიძლება იმის დამტკიცებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი აფსუა იყო და „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან აფსუას ენაზე შეიქმნა. აკი სცადეთ კიდეც ეფრემ მცირეს აფხაზად გამოცხადება, ხოლო ეფრემ მცირედან შოთა რუსთაველამდე ერთი ნაბიჯია.

ხედავთ, როგორაა საქმე, ბატონო ფაზილ? სინამდვილეში აფხაზეთი იყო საქართველოს კუთხის სახელი და არსად არასოდეს არ არსებულა არც აფხაზური ენა და არც აფხაზური კულტურა. თქვენს ენაზე (ადიღეურ ენაზე) თამარ მეფე ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებდა, რადგანაც იმ დროს არც ერთი აფსუა-ადიღეველი არ იყო ჩამოსული ჩრდილოკავკასიიდან და არც ცხოვრობდა საქართველოში.

აფხაზთა სამეფოს ცალკე, საქართველოსაგან მოწყვეტილად, ბატონო ფაზილ, ერთი კვირაც არ უარსებია.

გარდა თამარ მეფის მკურნალობის „თქვენამდე მოღწეული“ ცრულეგენდებისა, სხვა რაიმე ამტკიცებს იმას, რომ თქვენ წარსულში თუნდაც ელემენტარული კულტურა გქონდათ, ან შავი ზღვის პირას, დღეს თქვენს მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდით? ან თუნდაც ერთი მატერიალური კულტურის ძეგლი, ან ენობრივი ფენომენი, ან უძველესი ტოპონიმიკა (თქვენეულ ფალსიფიკაციას რომ თავი დავანებოთ) ამტკიცებს თქვენს მკვიდრ ერობას შავიზღვისპირეთში?

წყეულმა ბოლშევიკებმა შეცდომაში შეიყვანეს გულუბრყვილო ადიღეველნი, როცა საქართველოს დასაქუცმაცებლად მათ აფხაზეთის ავტონომია გამოუგონეს და პასპორტებში არარსებული ეროვნება — აფხაზი ჩაუწერეს.

სიმართლე თუ გინდათ, ეს არის, ბატონო ფაზილ, მაგრამ თქვენ სიმართლე არ გინდათ, თქვენ რომ ჭეშმარიტება ირწმუნოთ, მაშინ სხვისი მიწის მიტაცებაზე უარი უნდა თქვათ, ეს კი ხელს არ გაძლევთ.

წყლის ნაყვაა ახლა თქვენთან კამათი. რა გამოვა? მე და თქვენ ფრაზებს გავუცვლით ერთმანეთს, მერე თქვენისთანა ცრუ პატრიოტებისაგან მოტყუებული აფსუა თავს დაესხმის ჯვრით ხელში მიმავალ კათალიკოსს, ან აბიტურიენტთა ნაწერებზე დახრილ გამომცდელს, ილიასა და აკაკის სურათებს დახევს, რუსთაველის ბიუსტს ცხვირს მოატეხავს, ქართულ დროშაზე ბინძურ ფეხსაცმელებს შეიწმენდს და როცა შეურაცხყოფილი ქართველი ქვას მოიმარჯვებს; ე მანდ, მომხდურ ყაჩაღს ზურგში ვდრუზოვო, თქვენ არ შეგეშინდეთ. იმ ქართველს თავისივე ძმა ქართველი გადაეღობება, ქვას გააგდებინებს და ხელს გადაუგრიხავს; არ გრცხვენია, მოძმე აფსუას ჰკუას ასე ასწავლიო? ეგ ხომ შენი ძმააო, ჩვენ ხომ კავკასიურ საერთო სახლს ერთად ვაშენებთო. აფსუა კი არ დაესხა თავს ქართველს და უწმინდესი აფსუამ კი არ შეურაცხყო, არამედ ინსპირირებულმა ძალამო. ძალიან ხალისიანად ხომ არ მონაწილეობს იმ ინსპირაციასა თუ ინსცენირებაში მთელი აფსუობა (აფხ. ასსრ-ს 17%),

რაკილა ერთხელ ათი ათასი აფსუა ესხმის თავს ორასამდე ქართველ აბიტურიენტს, გამომცდელსა და მშობელს, მეორეჯერ ექვსი ათასი აფსუა მოითხოვს სტადიონებზე საქართველოს ჩემპიონატის არჩატარებას, მესამეჯერ ორიათასი გაცოფებული აფსუა ეღობება კათალიკოსს და მანქანაზე მუშტ-წიხლს უბრახუნებს.

ნუ შეგეშინდებათ და ნუ შეგაკრთობთ ეს წერილი, ბატონო ფაზილ. განაგრძეთ თქვენი ბინძური საქმე — საქართველოში ქართველისათვის თავისი კარ-მიდამოს წართმევის კამპანია და სტუმარი ერის მკვიდრობის დამტკიცების სასაცილო პროპაგანდა. თქვენ და თქვენს ნათესავებს ხომ ყველაფერს გაპატიებენ. მოსკოვი ღმერთმა კარგად გიმყოფოთ და აკი დღემდე არც ერთი კაცი არ დაისაჯა ივლისის ხოცვა-ჟლეტისათვის. აკი საქართველოში ლამის კურდღელი შეიტანონ წითელ წიგნში, ხოლო ოსისა და აფსუას მიერ ქართველის მოკვლისთვის ხომ არავის სჯიან? თქვენ რას გერჩით, თქვენ მომხდურები ხართ და თქვენს საქმეს აკეთებთ.

ჩვენ რაც გვჭირს, ჩვენი ჭკუისაგან და ჩვენი დედლობისაგან გვჭირს.

თქვენ ხომ იმის „დამტკიცება“ შესძელით (ლეგენდებზე დაყრდნობით!), თამარ მეფე აფხაზეთში უშვილობის სამკურნალოდ დადიოდაო და ლაშა თავის შვილს — გიორგის — აფხაზთა სიყვარულით დაარქვაო, მე რომ თქვენი ამბავი ვიცი; იმის დამტკიცებაც არ გაგიჭირდებათ, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 27 ნოემბერს თავს დაესხა ორიათას აფსუას. მშვიდობიანმა აფსუებმა მათკენ მომავალი, გაგულისებული კათალიკოსი რომ დაინახეს, ჩანს, ხასიათზე ვერ არისო და გზა დაუთმეს, კათალიკოსმა კი ანაფორის კალთები აიკეცა და ორიათას მტრედივით მშვიდ აფსუას გამოენთო, საწყალი აფსუები ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ გაანჩხლებული მღვდელთმთავარისთვის გაესწროთ.

ენას ძვალი არა აქვს. ამასაც დაამტკიცებთ და წუწუნს მოჰყვებით; ასე და ასეო, რა ვქნათ, აღარ ვიცითო, პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილნი, შეგვჭამეს ქართველებმაო.

იტყვით, ამასაც იტყვით, ბატონო ფაზილ, მაგრამ ღმერთს სადღა წაუხვალთ, ღმერთს, რომელიც კარგა ხანია აღარ გწამთ და აქედან გამომდინარე, არც განკითხვის დღის მოლოდინი გაკრთობთ.

**რევაზ მიშველაძე**

# საქართველოს შემატოს

**(დასასრული)**

ქართველოს ეროვნულ, დემოგრაფიულ და კულტურულ აღორძინებას. ასე რომ, ვაჟთა ფოლკლორული გუნდის ჩამოყალიბება ამ მიზანსწრაფული პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა.

„შარავანდს“ ცნობილი ლოტბარი და მომღერალი მიხეილ მცურავიშვილი ხელმძღვანელობს. უნდა ითქვას, რომ მიხეილ მცურავიშვილი ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის დროს დირიჟორობდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლს. პარალელურად ანსამბლ „გორდელას“ სოლისტი გახლდათ, იმ „გორდელასი“, რომელმაც ტრიუმფით მოიარა ევროპის, ამერიკის, აზიის მრავალი ქვეყანა და ერთ-ერთმა პირველმა აზიარა უცხოელი მსმენელი ქართული სიმღერის მადლსა და მირონს. 1977 წელს მიხეილ მცურავიშვილმა აღადგინა 60-იან წლებში დიდად პოპულარული ვაჟთა ვოკალური კვარტეტი „ფიროსმანი“, რომელიც ამჟამადაც წარმატებით განაგრძობს მოღვაწეობას. მიხეილ მცურავიშვილმა მის მშობლიურ ქალაქ გორშიც ჩამოაყალიბა რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო თვითმოქმედი ვაჟთა გუნდი „გორი“. ყოველივეს თუ იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ მიხეილ მცურავიშვილი საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ხაზით კურირებს რესპუბლიკის საგუნდო კოლექტივებს, ცხადი შეიქმნება, თუ რა წვლილი შეაქვს მას ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდაში...

ახლა ამას ახალი რიცხვმრავალი გუნდი „შარავანდი“ დაემატა. „შარავანდი“ თანამოაზრეთა საკრებულოა. ანსამბლში ლოტბარებად მოწვეული არიან გურულ-მეგრული სიმღერების ბრწყინვალე მცოდნე ოთარ ბერძენიშვილი და სვანური სიმღერისა და ჭუნირის დიდოსტატი ისლამ ფილფანი. ექვსმა თვემ დაძაბულ რეპეტიციებში განვლო და ახლა შეიძლება ითქვას, რომ რომ ჩინებული გუნდი შეიქმნა. „შარავანდი“ დიდად ემადლიერება ამიერკავკასიის რკინიგზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორს ბატონ ვაჟა ჰიპაშვილს და სამუსიკო სტუდიის დირექტორს ქალბატონ ანი დგებუაძეს, რომლებმაც უანგაროდ დაუთმეს დარბაზები ყოველდღიური რეპეტიციების ჩასატარებლად.

**18 დეკემბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგება „შარავანდის“ დებიუტი.**

ვფიქრობთ, ქართული სიმღერის ყველა ჭეშმარიტი დამფასებელი მოვა კონცერტზე, რათა საკუთარი თვალით იხილოს კიდევ ერთი ახალი საგუნდო კოლექტივის დაბადება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მხატვრული კითხვის როგორც აღიარებული ოსტატები — ზინა კვერენჩხილაძე, გიზო სიხარულიძე, ელდინო სალარაძე, ისე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მსახიობები — თინათინ მღვდლიაშვილი, ლალი ლოხიშვილი, რამაზ იოსელიანი, ზაზა მალალაშვილი და თემურ ნაცვლიშვილი.

**ზაალ ბოტკოველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ისტორია პორტრეტებში

# ფარნავაზი

„...იხილა ფარნავაზ სიზმარი;
რეცა იყო იგი სახლსა შინა
უკაცურსა,
და ეგულვებოდა განსვლა და
ვერ განვიდა.
მაშინ შემოვიდა სარკმელსა
მისსა შუქი მზისა
და მოერტყა წელთა მისთა, და
განიზიდა,
და განიყვანა სარკუმელსა მას.
და ვითარ განვიდა ველად,
იხილა მზე ქუე-მდაბლად,
მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა
ცუარი პირსა მზისასა
და იცხო პირსა მისსა..."

„ცხოვრება ფარნავაზისი"

ცნობები ფარნავაზ მეფის შესახებ შემოგვინახეს ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესმა ძეგლებმა: „მოქცევაჲ ქართლისაჲმ" და „ქართლის ცხოვრებამ". პირველ მათგანში ფარნავაზის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სულ ორიოდე ფაქტია აღნიშნული, მეორეში კი მას ეძღვნება მთელი თხზულება — „ცხოვრება ფარნავაზისი".

დასახელებულ ძეგლთა მონაცემები მარტოოდენ ინფორმაციის მოცულობით არ განსხვავდებიან, ისინი იდენტურნი არ არიან შინაარსის მხრივაც. ამის მიზეზი სხვადასხვა წყაროდან მათ წარმომავლობაში არ მდგომარეობს, ორივე გენეტურად უკავშირდება უძველეს ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, ოღონდ თითოეულში ამ ტრადიციის განვითარების სხვადასხვა ფაზაა აღბეჭდილი. უფრო ადრეული, საფიქრებელია, თავდაპირველი ეტაპი დაფიქსირებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲში". შედარებით გვიანდელი ჩანს „ქართლის ცხოვრების" „ფარნავაზიანი", რომელშიც ისტორიული ფაქტების ფოლკლორიზაციის საკმაოდ შორსწასულ პროცესს ვხედავთ, თუმცა ამ უკანასკნელის წარმოშობაც, როგორც ეს დღეს სპეციალურ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, ახ. წ. VI ს. არ გადმოსცილდება.

ქვემოთ აღნიშნულ წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მე შევეცდები შესაბამისი ეპოქის ფონზე გამოვკვეთო ფარნავაზის სახე.

ძვ. წ. IV ს. II ნახევარი: ხანა დიდი საერთაშორისო ძვრების. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად ირღვევა წარსულში ძლევამოსილი აქემენიდური ირანის იმპერია. საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ვხედავთ: აღმოსავლეთში (მას მცხეთის მამასახლისი უდგას სათავეში), სამხრეთში (ესაა ირანს დაქვემდებარებული ქართველურ ტომთა გაერთიანება — არიან-ქართველი, ე. ი. ირანის ქართლი), დასავლეთში.

მაკედონელთა ლაშქრის ერთ-ერთმა მარბიელმა ამიერკავკასიასაც მოაღწია და ირანის გავლენისაგან გაათავისუფლა არიან-ქართლი, რომლის წინამძღოლის ძემ აზომ ისარგებლა შექმნილი ვითარებით, მაკედონელთაგან ზურგმომაგრებულმა ილაშქრა ჩრდილოეთში და გამეფდა მცხეთაში. აზოსთან ბრძოლას შეეწირა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა.

მალე აზომ შეიერთა დასავლეთქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებაც, ხარკი დაადო კავკასიელ მთიელებს. მთელ შემდგომ მოღვაწეობაში კი იგი ცდილობდა შეექმნა უნიტარული სახელმწიფო, სასტიკად ებრძოდა ადგილობრივ ხელისუფალთა დამოუკიდებლობას, „ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი".

თავისი პოლიტიკის გატარებას აზო არიან-ქართლიდან მოყვანილ მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირებზე დაყრდნობით შეეცადა. ამასთან, ყოველმხრივ ავიწროებდა მცხეთელებს. სდევნიდა მათ შორის რჩეულთ, უკრძალავდა იარაღის ტარებას, რითაც ხაზს უსვამდა, ცხადია, ამ უკანასკნელთა, როგორც მოქალაქეთა, მეორეხარისხოვნებას, არიან-ქართველებთან შედარებით, აღმოსავლურ ქართველთა რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა უთუოდ აზოს მიერ მცხეთაში მოტანილი კერპების გაცისა და გას თაყვანისცემის დაკანონება.

ამ „ძნელი და მეხისხლი" კაცის უხეშ ძალადობაზე დამყარებულმა მმართველობამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნე გასტანა, ნაყოფი ვერ გამოიღო. ქვეყნის გამთლიანება ვერ მოხერხდა. დისკრიმინაციამ კი მოსახლეობის ფართო ფენებში მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია.

სწორედ ასეთ ვითარებაში მოვიდა ფარულად მამასახლის სამარას ძმისწული ფარნავაზი, რომელიც მამის დაღუპვის შემდეგ სამი წლის ასაკიდან დედასთან და ორ დასთან ერთად მთებში იმალებოდა. — ფარნავაზის დაბრუნება, რომელიც ამ ხანისათვის უკვე მოწიფული ვაჟკაცი ჩანს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო: მას შური უნდა ეძია მამისა და ბიძისათვის, ამასთან როგორც შთამომავალს „თავთა მათ ქართლისათა", თვით ჰქონდათ ქართლის გამგებლობაზე პრეტენზია.

მემატიანეს მინიშნებით განგების ნებით ფარნავაზმა განძი იპოვა. ახალგაზრდა ტახტისმაძიებელს ამ სიმდიდრით ჯარის დაქირავება შეეძლო, ამით გამხნევებულმა მან მიმართა ქუჯის, ჩანს, ასევე რეპრესირებულ ეგრისელ (ე. ი. დასავლელქართველ) ხელისუფალთა შთამომავალს და აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა შესთავაზა. ქუჯიმ ითავა ეგრისიდან „ურიცხუნი სპანის" შეკრების პრაქტიკული საქმე. ძალი მოირთეს ხარკით შეწუხებულ კავკასიელ მთიელთაგან თანამოაზრენი იპოვეს თვით აზოს უახლოეს პირთა შორისაც. გადამწყვეტ მომენტში ეს უკანასკნელი განუდგნენ აზოს, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მოსახლეობა ამიტომ იყო, რომ აზო შეთქმულთათვის წინააღმდეგობის გაუწევლად გაიქცა სამხრეთში და თავის მამულში გამაგრდა. ფარნავაზი გახდა გამგებელი მთელი ქართლისა კლარჯეთის, ე. ი. აზოს მამულის გამოკლებით. მეორე წელს ბერძნებისაგან გაძლიერებულმა აზომ შემოუტია ფარნავაზს, მაგრამ ფარნავაზმა უხმო ქუჯის, მთიელებს, უცხოელები მანაც მოიშველია. აზო დამარცხდა და ამ ბრძოლაში დაიღუპა. ფარნავაზმა კი „დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა, ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონისცა. და იქმნა სიმდიდრე გარდარეული".

რა თქმა უნდა, ფარნავაზმა აღადგინა მცხეთელ ქართველთა შელახული უფლებები, თუმცა ეს არ გაუკეთებია, არიან-ქართველთა დაჩაგვრის ხარჯზე. არიან-ქართველები მან სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქეებად დატოვა, რაზედაც ის მეტყველებს, რომ ოფიციალურად აღიარებულ ღმერთთა პანთეონიდან არ განუდევნია მათი კერპები გაცი და გა. სამხრეთელთა ერთი ნაწილი კი, კერძოდ, ისინი, რომლებმაც აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირეს, პრივილეგირებულ ფენად აქცია, „იაჯრნა კეთილად". თვისებრივად შეცვალა ურთიერთობა კავკასიელ მთიელებთან. მეხარკეების მაგიერ ისინი მოკავშირეებად გაიხადა, რაზედაც მისი დანათესავება მიუთითებს ამ ხალხებთან: ერთი და ჩრდილოეთში გაათხოვა, თვითონაც „მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი". დააკმაყოფილა ადგილობრივი ხელისუფალნიც, აღადგინა საერისთავოები და სასპასპეტოები, „ყოველნი ქალაქნი და ციხენი", გულუხვად დააჯილდოვა ქუჯი; მას მისცა „ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად". დაინათესავა ესეც, ეგრისის ერისთავი; „მეორე და თჳისი მისცა ქუჯის ცოლად".

ამგვარად, ფარნავაზის მოღვაწეობის დასაწყისი თითქოს აჩვენებდა, რომ აზოს პოლიტიკის საპირისპირო პოლიტიკას იწყებდა ახალი მეფე, უფრო სწორად, უბრუნდებოდა მამასახლისობის პერიოდის მმართველობის ტიპს. ამის თაობაზე მოლაპარაკება ფარნავაზსა და მის მომხრეებს შორის უნდა ყოფილიყო თავიდანვე, ეტყობა, სწორედ ამიტომაც იშოვა მან აზოს მეფობით შეწუხებულ წრეებში ამდენი მომხრე. ამასთან თავიდანვე განსაზღვრული ყოფილა სუბორდინაციაც: ფარნავაზს, როგორც „შვილს თავთა მათ ქართლისათა" ეკუთვნოდა სხვათა გამგებლობა: აი, რას ეუბნება ქუჯი ფარნავაზს ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე: „უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი".

მაგრამ პოლიტიკის კურსის რადიკალური ცვლილება მხოლოდ მოჩვენებითი შთაბეჭდილება იყო. ფარნავაზს ხელი არ აუღია აზოს მიზანზე მოექცია მთელი ქართული მიწები უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში, რეალურად მან დაამყარა მმართველობა, რომლის დროსაც ადგილობრივ ხელისუფალთა მდგომარეობა სრულიადაც არ ემსგავსებოდა მამასახლისობის პერიოდში მათ სტატუსს. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ფარნავაზის გარდაცვალებისთანავე დაწყებული ქართველ ერისთავთა აჯანყება. ფარნავაზის რეჟიმით მათი უკმაყოფილება იმდენად დიდი ყოფილა, რომ აჯანყებულთ მისი ძის საურმაგის მოკვლაც კი ჰქონიათ გადაწყვეტილი, რათა ძველი ვითარება აღედგინათ: „არა კეთილ ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვენით ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ". როგორც ჩანს, ფარნავაზის მეფობას მათი იმედები ვერ გაუმართლებია, უფლებები შეზღუდვიათ.

„თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისან დავენის (ფარნავაზ) მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დავენის გაჩიანთა, ხოლო თუენი ზაფხულისანი — წუნდას. და ყამითი-ყამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი".

აშკარაა, რომ თავისი ხანგრძლივი (სამოცდახუთწლიანი) მმართველობის ბოლოსათვის მაინც ფარნავაზმა შეძლო შეექმნა განუყოფელი ქართული სახელმწიფო. ამ რთული ამოცანის გადაჭრისას მან, მართალია, დიდად ისარგებლა თავისი დამარცხებული წინამორბედის მონაპოვრებით (ქართლი, კლარჯეთი, ეგრისი პოლიტიკურად უკვე გაერთიანებული იყო, ადგილობრივ ხელისუფალთა ძლიერება რეპრესიების შედეგად შერყეული), მაგრამ ყოველივეს სრულიად ახალი სუნთქვა შთაბერა, სახელმწიფოებრივი მექანიზმი, აზოს ხელში უმოძრაო, აამუშავა საოცარი სიმსუბუქით.

ეს იყო ავტორიტარული რეჟიმის ქვეყანა გაღმერთებული მონარქით სათავეში: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. აღმართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა". მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა ტრადიციული იმდროინდელი მსოფლიოსათვის, ადრევე იჩენს თავს ფარნავაზის პოლიტიკურ არსენალში. ამის დასტურად გამოდგება ზემოთ მოტანილი მისი სიზმარი, რომლის მიხედვით ფარნავაზი მზისცვარცხებულია. ფარნავაზის წარმატებული მეფობის ბოლოსათვის კი ქართლში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ გვირგვინოსანი სვე-ბედის, ე. ი. ზეგარდმო ძალების მოვლენილი იყო: „იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისა და იტყოდეს ამას ყოველნი: ვმადლობთ ხუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა".

ფარნავაზმა თვისტომთაგან ყველაზე უწინარესად ქართული ეთნოსი მოიაზრა როგორც განსაკუთრებული, სხვათაგან განსხვავებული, ფენომენი, ამიტომაც სახელმწიფო ენობისათვის დულაბად გამოიყენა ქართული ენა, რომელიც გაავრცელა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აქცია საყოველთაოდ: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა". ამგვარად პროცესი ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისა, მის დრომდე უკვე დაწყებული, გახადა შეუქცევადი. ამასთან ამ, მართლაც ღმერთკაცური განსჯის გამგებელმა, ახალი ეთნიკური სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაბადების ისტორიულობა გააცნობიერა და ეს ფაქტი დააფიქსირა წერილობით.

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე მხედარი და მწიგნობარი; ქართული ღმერთის პირველშემქმნელი, მის სამსხვერპლოზე პირველმწირველი, ქართული ენის შემოქბობარი"... ეს მოკლედ, არჩილ სულაკაურის „შაირით". თუმც გრძლად სათქმელიც უკვე არაფერია. მზისცვარცხებულით იწყება მართლაც ქართველობა. პირველი ქართველი, ქართველთა პატრიარქი, ფუძემდებელი ქართული ცივილიზაციისა!

მოტანილი ფაქტები ნათლად გვანახვებენ ფარნავაზს არა მარტო როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, არამედ როგორც პიროვნებასაც. ამიტომ საკმარისად მეჩვენება დასასრულ მისი სახის მხოლოდ რამდენიმე შტრიხი გავაცხოველო.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფარნავაზის სვლას ხელისუფლებისაკენ. ფარნავაზს ხომ სამეფო ტახტი მამისაგან არ მიუღია მემკვიდრეობით, ბრძოლით მოიპოვა. ამ ბრძოლაში ჩანს იგი სწორედ მთელი სიგრძე-სიგანით—გონიერი და ენერგიული, ძლიერი სულით, ჩაუქი ფიზიკურად, მიზანსწრაფული...

ფარნავაზს ჰქონდა დიდი პოლიტიკური ალღო, რეალიზმის გამახვილებული გრძნობა. მისთვის უცხო იყო გაბოროტება, უაზრო სისხლისღვრის სურვილი. გამბედაობა ეძლეოდა არა მარტო ბრძოლაში გახურებულს, შეეძლო ცივი გონებით სიკვდილისათვის თვალეში ჩაეხედა: მცხეთაში დაბრუნებული დაუახლოვდა მოსისხლე მტერს დაუნდობელ აზოს, მასთან ერთად ნადირობდა, თუმც ყოველ წამს შეიძლებოდა გამხელილიყო მისი ვინაობა. თამამი მიზნებისა და პოეტური სიზმრების მიუხედავად, იდეალისტი არ იყო, კარგად ესმოდა, რომ დიდ პოლიტიკას დიდი მატერიალური სახსარი სჭირდება. შეეძლო ამ სახსრის შოვნაც, მისი რაციონალური გამოყენებაც.

„ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი... ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელით, სიმხნითა და სიმდიდრითა".

და აი, ამ თვისებების მქონე პიროვნებამ „ყოველნი დღენი მისნი, რაჲ დაჯდა, მშჳდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი".

ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე „შეამკო საფლავი ფარნავაზისი". ქვეყნის ბედზე საგანგებოდ დაფიქრებული, მის ახალ გზაზე გამომყვანი პიროვნების აღნიშნული ჟესტი, ცხადია, არაა შემთხვევითი, ისევე როგორც არ შეიძლება იყოს შემთხვევითი თავად ფაქტი ახ. წ. IV ს. დამდეგამდე ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე მოღვაწე მეფის საძვალის შენახვისა. უკვე მაშინ ფარნავაზი ქართველობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, მისი სამუდამო განსასვენებლის თაყვანისცემა ერის წინაშე დადებული ფიცი იყო თავისებური...

„დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა" — გვამცნობს მემატიანე. სამწუხაროდ დღეს ზუსტად აღარ ვიცით ეს ადგილი. უნდა მოვნიშნოთ მიახლოებით. არავითარი საგანგებო შემკობა საჭირო არ იქნება. ძვირფასი საფლავისათვის უბრალო ქვაა საკმარისი. ეპიტაფია კი მზად არის:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".

**მარინა ჩხარტიშვილი**

# კამათელი გაგორებულია...

დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს ნარდის ფედერაცია და უკვე ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. და აი, კვირას, თბილისში, ჩაის სახლში, სტარტი აიღო საქართველოს პირველმა ღია ჩემპიონატმა ნარდში, რომელსაც წინ უძღოდა საზეიმო გახსნა და მონაწილეთა კენჭისყრა. აქვე შევხვდით და გავესაუბრეთ საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ **მიხეილ სურგულაძეს**.

„— ჩვენი ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითია, — ბრძანა ბატონმა მიხეილმა, — და მასში მონაწილეობას იღებს 128 მონარდე საქართველოდან, აშშ-დან, გერმანიიდან, ფინეთიდან, ჰოლანდიიდან, დანიიდან, შვეიცარიიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ტურნირზე ვერ ჩამოვიდნენ საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლები, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს სულაც არ დაეტყობა ამ საინტერესო შეჯიბრებას. თავად განსაჯეთ — ნარდის გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ იხილონ ისეთი ავტორიტეტული პიროვნებები, როგორებიც არიან: 1990 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი ალან შტეფენი (აშშ), მსოფლიოში II რეიტინგის მქონე ტიმ სერგესი (აშშ), 1988 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფილიპ მარმორშტაინი (გერმანია), 1990 წლის ბროლის თასის მფლობელი ტომას ლამპერი (გერმანია), აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათთან ერთად იასპარეზებენ ისეთი ძლიერი მონარდეები, როგორებიც არიან: აშშ-ს წლევანდელი ჩემპიონი ჯიმ ბაროფი, ჰოლანდიის ჩემპიონი ჟან ვან ინგენი, ფინეთის ჩემპიონი პეტრი პიეტილა (რომელიც, ამასთან, ფინეთის ნარდის პრეზიდენტიცაა), აზერბაიჯანის ჩემპიონი ფაიქ ჰუსეინოვი და, რა თქმა უნდა, საქართველოს ჩემპიონი ემზარ ლაითაძე. სულ საქართველოდან 45 მონარდე მიიღებს მონაწილეობას და მათ შორის საქართველოს ნარდის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი, ყველასათვის საყვარელი ბატონი ბორის წიფურია...

აღსანიშნავია, რომ ტურნირის საპატიო სტუმარი გახლავთ გერმანიის ნარდის პრეზიდენტი ალფერდ შვარცი, რომელმაც საგულდაგულოდ შეამოწმა თითოეული მონაწილის რეიტინგი და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ღია ჩემპიონატი I კატეგორიისაა.

ტურნირს უამრავი სპონსორი ჰყავს, მათგან კი ორის გამოყოფა გვინდა, როგორც მთავარი სპონსორების — „ვაიზერი და პარტნიორი" (გერმანული ფირმა) და ჩვენი „ვესტა"... სწორედ ამ სპონსორებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოს პირველ ღია ჩემპიონატზე მეტად სოლიდური საპრიზო ფონდია და მაგალითად, I პრიზის მფლობელს 12000 დოლარი ელოდება..."

რა თქმა უნდა, საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი ჯერ ახლა დაიწყო, მაგრამ, ვფიქრობთ, წინდაწინ უნდა გადავუხადოთ მადლობა ბატონ მიხეილ სურგულაძეს, ამ ახალგაზრდა და ენერგიულ კაცს ასეთი საინტერესო ტურნირის ორგანიზებისათვის.

**ზიზი ტიზანელი**

ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალორძინება

საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების" მიერ გამოშვებული საშობაო მისალოცი ერთსა და იმავე დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო მილოცვაცაა.

მიულოცეთ შობის დღესასწაული თქვენს ახლობლებს!

მისალოცებს შეიძენთ „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.

ალორძინება

## საიჯარო საწარმო „საქმილსადენმშენი"

პირდაპირი ხელშეკრულებით აწარმოებს ლითონის მილსადენების•მშენებლობას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, როგორც დამკვეთის ასევე საკუთარი მილებით, დიამეტრით 0,5-დან 1,4 მეტრამდე.

ხელშეკრულების დადების მსურველებმა მოგვაკითხონ მისამართზე: **ქ.წყალტუბო ქუთაისის ქუჩა №4.** ტელეფონები: **2-37-14, 2-13-97.**

სარეკლამო სააგენტო „არნო-ბლიკი"

## იყიდება

„ჩერნიგოვის" მარკის ავტობუსი. მსურველებს შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. № 1. ტელეფონი: 62-19-74 (19.00 სთ-იდან 21.00 სთ-მდე)

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი".

## იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობაა - პორტრეტი — 2 წთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, კოოპერატივი „საპანე".

ტელ: 37-58-25 (11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"**



## გვესაჭიროება

1 ოთახი ქალაქის ცენტრში. პირველ სართულზე (სასურველია ტელეფონით) კომერციული საქმიანობისათვის.

გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 37-58-25 (14.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე), ან მობრძანდეთ მისამართზე: **ბუდაპეშტის ქ. №1** (14.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"



## კოოპერატივი „საპანე"

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „საპანე" (9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"**



### გვესაჭიროება

მცხობელები საზეიმო ხუფის ნამცხვრებისა და ტორტების გამოსაცხობად.

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: დავით გურამიშვილის გამზირი (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი) №75 და №77 კორპუსებს შორის მდებარე წითელი ჯიხური წარწერით „საპანე". ტ. 62-19-74 (19.00 სთ-დან 20.00 სთ-მდე).

ასევე მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სახის ნამცხვრებს ამავე მისამართზე 8.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"



### საპატენტო სააგენტო „ალვა"

საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს ერთიანი, ორგანიზაციების სახელწოდებების და ემბლემების სარეგისტრაციო კატალოგი. ინფორმაციის თავმოყრა ხორციელდება ასოციაცია „ქასეხის" და ფირმა „არგოს" ერთობლივი საპატენტო სააგენტოს „ალვას" კომპიუტერულ ბაზაზე. სააგენტო „ალვა" რეგისტრირებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ.

კატალოგი დგება მაღალკვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. საფუძველი ეყრება საერთაშორისო სარეგისტრაციო ქვესამსახურს საქართველოში.

თუ გსურთ, თქვენი ორგანიზაციის ემბლემა და სახელწოდება საქართველოს ტერიტორიაზე არ გაიმეოროს სხვა ორგანიზაციამ, მოგვმართეთ! საპატენტო სააგენტო „ალვა" თქვენს ემბლემასა და სახელწოდებას შეიტანს ზემოაღნიშნულ კატალოგში.

მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი. ანგის №7. შრომის სასახლე, 12 სართული. ტელეფონი: 38-01-96

სარეკლამო სააგენტო „არგო—ბლიკი"

### ვიზების სათარგმნად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევსს", რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 35-18-27 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. №74

სარეკლამო სააგენტო „არგო—ბლიკი"



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხავაშვით კორპუსში, ხიშარიულის № 23 ... 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 გ. კოსტავას ქ. № 14.